# დღეს იხსნება საქართველოს კომპარტიის XVIII ყრილობა

## მხურვალე სალამი ყრილობის დელეგატებს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი № 22 (11026) | ორშაბათი, 27 იანვარი, 1958 წ. | ფასი 20 კაპ.

## საქართველოს კომპარტიის XVIII ყრილობის დელეგატთა საყურადღებოდ

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი იუწყება, რომ საქართველოს კომუნისტური პარტიის XVIII ყრილობა გაიხსნება დღეს, 27 იანვარს, დღის 12 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომების დარბაზში (საქართველოს სსრ მთავრობის სასახლე).

*საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი*

# საქართველოს კომუნისტური პარტიის XVIII ყრილობა

დღეს თბილისში იხსნება საქართველოს კომუნისტური პარტიის XVIII ყრილობა, რომელიც დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის, მთელი ქართველი ხალხის ცხოვრებაში.

საქართველოს კომუნისტების XVIII ყრილობა მუშაობას იწყებს მრავალმილიონიანი საბჭოთა ხალხის მძლავრი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, რაც გამოწვეულია ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების არჩევნებისათვის მზადებით, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმებისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საიუბილეო და მეცხრე სესიების გადაწყვეტილებებით, კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა მოსკოვის თათბირების მიერ მიღებული ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტებით — დეკლარაციითა და მშვიდობის მანიფესტით.

საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები უდიდესი აღფრთოვანებით განიხილავენ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მიმართვას და გამოთქვამენ მზადყოფნას, რომ 1958 წელს უზრუნველყონ სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი განვითარება და წინსვლა.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი სახელოვანი, მებრძოლი რაზმი — თავის XVIII ყრილობაზე მოვიდა ორგანიზაციულად და იდეურად გამოწრთობილი, ურყევ რიგებად დარაზმული და შემჭიდროებული ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო. XVIII ყრილობა თვალნათლივ გამოხატავს საქართველოს კომუნისტური პარტიის რიგების რკინისებურ სიმტკიცესა და ერთიანობას, მის უსაზღვრო ერთგულებას მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისშძლე იდეებისადმი, პარტიული ორგანიზაციებისა და რესპუბლიკის მშრომელების ურყევ მისწრაფებას — თავდადებით იმუშაონ პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული ამოცანების შესრულებისათვის და ამით თავიანთი წვლილი შეიტანონ საბჭოთა სამშობლოს შემდგომ აყვავებაში, კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში.

საქართველოს კომუნისტური პარტიის XVIII ყრილობა შეაჯამებს XVII ყრილობიდან განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის შედეგებს, დასახავს ახალ საბრძოლო ამოცანებს რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარებისათვის, მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის განუხრელი ამაღლებისათვის.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებს სიამაყითა და სიხარულით აღავსებს იმის შეგნება, რომ ყრილობიდან ყრილობამდე განვლილ პერიოდში მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუცხრომელი ზრუნველობით, დიდი რუსი ხალხისა და სსრ კავშირის ყველა ხალხთა ძმური დახმარებით მოპოვებულია ახალი დიდი წარმატებები სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში.

სასახელო მაჩვენებლებით ხვდებიან ყრილობას რესპუბლიკის მრავალრიცხოვან საწარმოთა კოლექტივები. მაღლა უჭირავს რა სოციალისტური შეჯიბრების დიადი დროშა, რესპუბლიკის მრეწველობის მრავალათასიანმა კოლექტივმა გადაჭარბებით შეასრულა 1956 და 1957 წლების სახელმწიფო დავალება. ორი წლის განმავლობაში საერთო პროდუქციის გამოშვება მრეწველობაში 2 მილიარდი მანეთით გაიზარდა, ამუშავდა ახალი ფაბრიკა-ქარხნები და ელექტროსადგურები, ამაღლდა შრომის ნაყოფიერება და შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება. განსაკუთრებით თვალსაჩინო წარმატებებია მოპოვებული 1957 წლის მეორე ნახევარში, როცა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით განხორციელდა მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნა. ეს წარმატებანი მკაფიოდ მოწმობენ კომუნისტური პარტიის პოლიტიკის სიბრძნესა და სისწორეს.

მიუხედავად იმისა, რომ მთლიანად რესპუბლიკის მრეწველობა განუხრელად წინ მიდის და ვითარდება, მთელი რიგი საწარმოები შეუწყნარებლად ჩამორჩებიან სახელმწიფო გეგმების შესრულებაში. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს 443 საწარმოდან გასულ წელს საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა ვერ შეასრულა 76 საწარმომ. მათ სახელმწიფოს ასეულ მილიონობით მანეთის პროდუქცია დააკლეს. სამრეწველო საწარმოთა პარტიული ორგანიზაციების ამოცანაა უფრო ღრმად ჩასწვდნენ მრეწველობის ეკონომიკას, უკეთ შეისწავლონ და გამოიყენონ ადგილობრივი შესაძლებლობანი და რეზერვები, მიაღწიონ იმას, რომ ყველა საწარმო წარმატებით ასრულებდეს საგეგმო დავალებებს.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა უდიდეს ყურადღებას აქცევენ საბინაო მშენებლობას. პარტიამ ამოცანად დასახა — უახლოესი 10-12 წლის განმავლობაში აღმოფხვრას საცხოვრებელი ფართობის ნაკლებობა ჩვენს ქვეყანაში. ამ ამოცანის შესრულების უზრუნველსაყოფად სამშენებლო საწარმოთა პარტიულმა და სამეურნეო ორგანიზაციებმა მკვეთრად უნდა გარდაქმნან თავიანთი მუშაობა, რათა 1958 წელს ვადამდე შეასრულონ როგორც საწარმოო სიმძლავრეთა, ისე საცხოვრებელი ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმები.

პარტიის XX ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებათა საფუძველზე განუხრელი აღმავლობის გზით მიდის საქართველოს მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობა. უკანასკნელ წლებში განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა მარცვლეულის, ყურძნის, ჩაის, თამბაქოს, ციტრუსოვანთა ნაყოფის და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული მეცხოველეობაში, რომელიც წინათ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი ყველაზე ჩამორჩენილი დარგი იყო. 1957 წელს წინა წელთან შედარებით მიღებულია 15.600 ტონით მეტი რძე. შარშან, წლიური გეგმით გათვალისწინებული 950 კილოგრამის ნაცვლად, საშუალოდ თვითეული ძროხის წველადობამ შეადგინა 1.002 კილოგრამი რძე, რაც ორჯერ და უფრო მეტად აღემატება 1953 წლის მაჩვენებელს.

რესპუბლიკის კოლმეურნეობებს, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებსა და საბჭოთა მეურნეობებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების მკვეთრი განვითარების დიდი შესაძლებლობანი აქვთ. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს შესაძლებლობანი ჯერ კიდევ მთლიანად როდია გამოყენებული. რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ ჩაის წარმოების, მევენახეობა-მეხილეობის, მეციტრუსეობისა და მეთამბაქოობის, სოფლის მეურნეობის ამ მნიშვნელოვანი დარგების შემდგომ განვითარებას. საჭიროა ყოველი ღონისძიებით განვამტკიცოთ მეცხოველეობაში მოპოვებული პირველი წარმატებანი.

სოფლის მშრომელებისადმი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიმართვაში ახალი დიდი ამოცანებია დასახული. ამ ამოცანების წარმატებით შესრულება სასოფლო პარტიული ორგანიზაციებისაგან, კოლმეურნეობების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებისაგან მოითხოვს მთელი ძალები დარაზმონ სოფლის მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის საბრძოლველად, ყველა საჭირო ღონისძიება განახორციელონ 1958 წელს მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოთა სანიმუშოდ მოსამზადებლად და ჩასატარებლად.

რესპუბლიკის ეკონომიკის აღმავლობასთან ერთად საანგარიშო პერიოდში თვალსაჩინო წარმატებებია მოპოვებული სახალხო განათლების, მეცნიერებისა და ტექნიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაში. განუწყვეტლივ მაღლდება მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურის დონე.

ყველა ჩვენი სამეურნეო წარმატების საფუძველია პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა მასებში. XVII ყრილობიდან XVIII ყრილობამდე განვლილ პერიოდში რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა, მტკიცედ ახორციელებენ რა პარტიის XX ყრილობის მიერ დასახულ ლენინურ კურსს, შემდგომ გააფართოვეს და განამტკიცეს კავშირი მასებთან, აამაღლეს კომუნისტების აქტივობა და თვითმოქმედება, გააძლიერეს მათი ბრძოლისუნარიანობა. მნიშვნელოვნად გაიზარდა პარტიული კომიტეტების, როგორც კოლექტიური ხელმძღვანელობის ორგანოების, როლი და მნიშვნელობა.

მარქსისტულ-ლენინური თეორია კომუნიზმისათვის ბრძოლის მძლავრი იდეური იარაღია. ამიტომ პარტიული ორგანიზაციები დიდ მუშაობას ეწევიან იმისათვის, რომ შემდგომ გააძლიერონ მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების პროპაგანდა, უფრო მჭიდროდ დაუკავშირონ თეორიის შესწავლა სამეურნეო და კულტურული მშენებლობის პრაქტიკულ ამოცანებს. ამჟამად პარტიული განათლების სისტემაში მრავალი ათასი კომუნისტი და უპარტიო მონდომებით სწავლობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საიუბილეო და მეცხრე სესიების მასალებს, კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირების დოკუმენტებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს. ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის ინტერესები მოითხოვენ შემდგომ ავამაღლოთ პარტიულ-პოლიტიკური და იდეოლოგიური მუშაობის დონე, გავაუმჯობესოთ პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობა. პარტიული ორგანოების ანგარიშგება-არჩევნებმა, რომელიც საქართველოს კომპარტიის XVIII ყრილობის წინ მიმდინარეობდა, ცხადყო, რომ პარტიის მთელი რიგი საქალაქო და რაიონული კომიტეტები, პირველადი პარტიული ორგანიზაციები ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად ეწევიან სააგიტაციო-პროპაგანდისტულ და ორგანიზატორულ მუშაობას მასებში. ამ მხრივ განსაკუთრებით მკაცრად გააკრიტიკეს პარტიული კომიტეტების საქმიანობა ჭიათურის საქალაქო, სამტრედიის, ადიგენისა და ქარელის რაიონულ პარტიულ კონფერენციებზე.

ყრილობა მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე განიხილავს რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეულ მუშაობას, გამოააშკარავებს ნაკლოვანებებს და მიიღებს გაშლილ გადაწყვეტილებებს, რომლებშიც განსაზღვრული იქნება მორიგი საბრძოლო ამოცანები.

საქართველოს კომუნისტური პარტიის XVIII ყრილობის გადაწყვეტილებებით შეიარაღებული საქართველოს მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ახალი ენერგიითა და ძალღონით გააჩაღებენ ბრძოლას მეექვსე ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის, მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყველა დავალების წარმატებით განხორციელებისათვის.

მხურვალე სალამი საქართველოს კომუნისტური პარტიის XVIII ყრილობის დელეგატებს!

მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით — წინ, კომუნიზმის ახალი გამარჯვებებისაკენ!

## ქართულ ენაზე ბროშურად გამოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის მასალები

სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ" ქართულ ენაზე ბროშურად გამოუშვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1957 წლის დეკემბრის პლენუმის მასალები. ბროშურაში შეტანილია: საინფორმაციო ცნობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ, პლენუმის დადგენილებანი „კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირების შედეგების შესახებ" და „სსრ კავშირის პროფესიული კავშირების მუშაობის შესახებ".

ბროშურა გამოცემულია მასობრივი ტირაჟით. (საქინფორმი).




## ყრილობის აღსანიშნავად

ტყვარჩელი. (საკ. კორ.). ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის № 4 შახტის კოლექტივმა გასულ წელს გეგმის გადამეტებით 19 ათასი ტონა ქვანახშირი ამოიღო.

საქართველოს კომპარტიის XVIII ყრილობისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების აღსანიშნავად შახტის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა ქვანახშირის მოპოვების პირველი კვარტალის გეგმა 25 მარტისათვის შეასრულოს და გეგმის გადამეტებით ამოიღოს 1.500 ტონა ქვანახშირი, შრომის ნაყოფიერება გაზარდოს 3 პროცენტით, 1 ტონა ქვანახშირის თვითღირებულება შეამციროს 2 მანეთით.

მეშახტეები თავდადებით შრომობენ ნაკისრ ვალდებულებათა გასანაღდებლად. № 4 შახტი ყოველდღიურად გეგმის გადამეტებით 65-75 ტონა ქვანახშირს იღებს.

• • •

რუსთავი. (საკ. კორ.). ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს მეფოლადის ვ. ქაბაშვილის ბრიგადამ გასულ წელს გეგმის ზევით 1.800 ტონაზე მეტი ფოლადი გამოადნო. მეფოლადეები წარმატებას აღწევენ მიმდინარე წელსაც. გაეცნო რა დონბასელი მეშახტის ნიკოლოზ მამაის თაოსნობას, ვ. ქაბაშვილმა ვალდებულება აიღო ყოველ ცვლაში გეგმის ზევით 3 ტონა ფოლადი გამოადნოს. მან სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია მეფოლადე ა. ფანცულაია. აღებული ვალდებულების განაღდებისათვის ბრძოლაში ვ. ქაბაშვილი მნიშვნელოვან წარმატებას აღწევს. მიმდინარე წლის 20 დღეში მან გეგმის ზევით 220 ტონა ფოლადი გამოადნო.

წარმატებებს აღწევენ აგრეთვე მეფოლადეები უ. მარუაშვილი, შ. შუბითიძე, დ. ნასიძე, პ. ბაირაკოვი ჯართის ჩამტვირთავი მანქანის მემანქანე შ. გოზალიშვილი და სხვები.

იოსებ ნონეშვილი

## დ ი დ ე ბ ა

### საქართველოს კომპარტიის XVIII ყრილობის დელეგატებს

მთელი ქართველი ხალხის სახელით
მოვდივართ ერთი ფიქრით, მიზნებით.
ყრილობის მაღალ გადასახედით
ქვეყანას ვამცნობთ როგორ ვიზრდებით.

ჩვენ ჩამოვკარით ზეცის ზარები,
ცას მნათობები როდი ვაკმარეთ.
მოსკოვს ნაჭედი თანამგზავრები
დავუძმობილეთ ცაში ვარსკვლავებს.

ჩვენ ვქმნით ცხოვრებას. არ ვართ მორწმენი.
გული მომავლის შუქით სავსეა.
როგორც უშბაზე, ამ დიდ ოცნებით
ავალთ მთვარეზეც, ავალთ მარსზედაც.

და განა მარტო ბრძოლის გუგუნში
ვადიდეთ ხალხი — ჩვენი გამჩენი?..
ყაზახთა ველი გადაბუგული
ჩვენც ავაყვავეთ. ჩვენი მარჯვენით.

ვართ მეგობრობით ფრთაგაშლილები,
ძმობის სიმტკიცე ჯავშნად გვაცვია.
ამ ძმობის ძალამ ქართლის შვილები
კურსკელ გმირებად გადააქცია.

ჩვენს ხმაში ისმის ბარაქიანი
ივრის, არაგვის ზვირთთა დინება.
ისმის რუსთავის ბრძმედთა გრიალი,
სამგორის ველთა აბიბინება.

ბრწყინავს კოლხეთი ნარინჯიანი,
მთებზე მხარიმხარ ვდგავართ მთებურად.
გრდემლთა გუგუნი, ყანის შრიალი
ჩვენს სიმღერაში შეერთებულა.

ოქროს თაველებს, ცვრიან ბალახებს
ჩვენი ალალი ოფლიც ვაწვიმეთ
დიდი ლენინის სიბრძნე გვალაღებს
სტალინის ქვეყნის ამაყ არწივებს.

ჩვენ გვაფოლადებს დიდი პარტია,
გული არასდროს შეიბინდება.
პარტიას —
ხალხის ნათელ განთიადს
ჩვენი ვაშა და ჩვენი დიდება!

## ყრილობის აღსანიშნავად

ჩხოროწყუ. (საკ. კორ.). სოფელ მუხურის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობაში კოლმეურნეებმა ჩ. ჩიქოვანმა, კ. ცირამუამ, მ. გახარიამ და სხვებმა დაამთავრეს ჩაის ნაკვეთების საზამთრო დამუშავება. აქ სიმინდის დასათესად მოხნულია 100 ჰექტარზე მეტი ფართობი. ხაბუმის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებს მ. ძერიას, ი. ბაძაღუას, ლ. ბაძაღუას დიდი ხანია დამუშავებული აქვთ მოსავლელად მიჩენილი ჩაის ფართობები. ისინი ახლა ნიადაგს ამზადებენ ხვნისათვის.

• • •

თეთრი წყარო. ტრაქტორისტთა ბრიგადამ, რომელსაც კომუნისტი ა. მიკირტუმაშვილი ხელმძღვანელობს, კოდისა და მარაბდის კოლმეურნეობებში პირველმა დაამთავრა ნიადაგის მომზადება საგაზაფხულო თესვისათვის, აქ განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ტრაქტორისტმა პარტიის წევრმა მ. მატინოვმა, რომელიც ნიადაგის კულტივაციის დღიურ ნორმას 125-135 პროცენტით ასრულებდა. ამჟამად ბრიგადის მექანიზატორები ეხმარებიან მეცხოველეებს წარმატებით დაამთავრონ პირუტყვის გამოზამთრება. ფერმებში მიაქვთ უხეში საკვების მარაგი, მანქანით აკუწმაწებენ ჩალას.

პარტიის ყრილობის აღსანიშნავად შრომითი წარმატებანი მოიპოვა აგრეთვე შ. ავგაროზაშვილის ტრაქტორისტთა ბრიგადამ. ბრიგადამ ორ კოლმეურნეობაში მზრალის დაახლოებით 80 პროცენტი დაამუშავა. მტს-ის მუშაკები კოლმეურნეებთან ერთად ნერგავენ სოფლის მეურნეობის კულტურების მოყვანის პროგრესულ წესებს, ახალ ათვისებულ მიწებზე თესავენ სიმინდს. ამ შესანიშნავი მარცვლეული და ხაფურაჟო კულტურისათვის განკუთვნილი თითქმის მთელი ფართობი მომზადებულია თესვისათვის. წელს მზესუმზირა და სიმინდი დაყალიბებული თესლით დაითესება. მტს-ში მუშაობს მანქანა ოხ-1, რომელიც ახლა აყალიბებს მზესუმზირას თესლს. შემდეგ დაიწყება სიმინდის თესლის დაყალიბება.

# საერთაშორისო მდგომარეობის ზოგიერთი საკითხის შესახებ

## ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლა ბელორუსიის სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირზე 1958 წლის 22 იანვარს

ამხანაგებო! თქვენ იცით, თუ რამდენად შეიცვალა ახლა საერთაშორისო ვითარება, როგორ გაუმჯობესდა საერთაშორისო მდგომარეობა იმასთან შედარებით, რაც იყო ერთი წლის წინათ. 1956 წლის დამლევს იმ შეცდომების შედეგად, რომლებიც უნგრეთის ყოფილმა ხელმძღვანელობამ დაუშვა, უნგრეთში მოხდა ცნობილი ამბები. კონტრრევოლუციური ელემენტები საერთაშორისო რეაქციის მხარდაჭერით შეეცადნენ დაემხოთ სახალხო ხელისუფლება უნგრეთში და აღედგინათ იქ კაპიტალისტური, ფაშისტური წესები. გარკვეული სიძნელეები იყო სახალხო დემოკრატიის ზოგიერთ სხვა ქვეყანაშიც, უწინარეს ყოვლისა პოლონეთში.

იმპერიალისტური სახელმწიფოები ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ ეს თავიანთი მიზნებით გამოეყენებინათ სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ. რეაქციული ყვავ-ყორნები, სიხარულით ცასდაწეულნი, დასჩხაოდნენ მთელ მსოფლიოს, რომ დაიწყო კომუნიზმის რღვევა, კრიზისი, რომ საბჭოთა კავშირი და სახალხო დემოკრატიის ქვეყნები ისეთი სიძნელეების წინაშე აღმოჩნდნენ, რომლებსაც ისინი თავს ვერ გაართმევენო.

დასავლეთის სახელმწიფოების აგრესიულმა ძალებმა გადაწყვიტეს, რომ მათთვის დადგა ხელსაყრელი მომენტი, რათა ახლო და შუა აღმოსავლეთში შეეცვალათ ვითარება, განემტკიცებინათ იქ თავიანთი კოლონიური პოზიციები, რომლებიც ძლიერ შეირყა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ზრდასთან, მსოფლიო სოციალისტური სისტემის ძალების ზრდასთან დაკავშირებით. ინგლისის, საფრანგეთის, აგრეთვე ისრაელის მაშინდელმა მთავრობებმა წამოიწყეს სამხედრო ავანტიურა ეგვიპტის წინააღმდეგ. ცნობილია, თუ რით დამთავრდა იმპერიალისტების ეს ავანტიურა.

ჩაიფუშა იმპერიალისტების ვარაუდები, რომლებიც იმედს ამყარებდნენ უნგრეთის კონტრრევოლუციურ ძალებზე. უნგრეთის რესპუბლიკის რევოლუციურმა მუშურ-გლეხურმა მთავრობამ ამხ. ი. კადარის მეთაურობით დარაზმა უნგრეთის მუშათა კლასი, მშრომელი გლეხობა, მოწინავე ინტელიგენცია კონტრრევოლუციური ძალების წინააღმდეგ საბრძოლველად. მან დახმარებისათვის მიმართა საბჭოთა კავშირს, და ჩვენც გავუწიეთ ძმური დახმარება. ზუსტად სამ დღეში იქნა განადგურებული კონტრრევოლუციური ბანდები უნგრეთში და აღდგენილ იქნა რევოლუციური წესრიგი. საბჭოთა კავშირმა, ყველა სოციალისტურმა ქვეყანამ მეგობრული დახმარება გაუწია უნგრელ ხალხს უნგრეთის ეკონომიკის აღდგენასა და შემდგომ განვითარებაში. რა თქმა უნდა, იქ ჯერ კიდევ არის სერიოზული ეკონომიური სიძნელეები, რაც გამოიწვია კონტრრევოლუციის მოქმედებამ, და ხალხი გრძნობს ამ სიძნელეებს, იძულებულია ზღოს ის ზარალი, რომელიც ფაშისტმა მეამბოხეებმა მიაყენეს ქვეყნის ეკონომიკას.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში, სადაც ჯერ კიდევ ცოტა როდია სიძნელეები, ხორციელდება ღონისძიებები სახალხო-დემოკრატიული წყობილების განსამტკიცებლად. როგორც თქვენ პრესიდან იცით, ამ დღეებში პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ვ. გომულკას და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ი. ციორანკევიჩის მიწვევით სამი დღის განმავლობაში ვიმყოფებოდი პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში და იქ მეგობრული საუბრები მქონდა პოლონელ ხელმძღვანელებთან. ამ საუბრების შედეგად მე შევიქმენი რწმენა, რომ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტია ამხ. გომულკას მეთაურობით, სწორად გამოიყენებს რა თავის ძალებსა და შესაძლებლობებს, შესძლებს გადალახოს იქ არსებული სიძნელეები და მიაღწიოს ახალ წარმატებებს ქვეყნის სოციალისტური ეკონომიკის განვითარებაში, ხალხის კეთილდღეობის ამაღლებაში.

სამარცხვინოდ ჩაიფუშა იმპერიალისტების „წინასწარმეტყველება“ საბჭოთა კავშირის, ჩვენი სოციალისტური წყობილების ძალისა და სიმტკიცის შესახებ. მტრები ჩხაოდნენ, რომ ჩვენში გაჩნდება ახალი შინაური სიძნელეები იმასთან დაკავშირებით, რომ საბჭოთა კავშირში ყოველწლიურად სულ უფრო იზრდება რიცხვი ადამიანებისა, რომლებიც საშუალო და უმაღლეს განათლებას იღებენ, და ამიტომ ისინი თითქოს აუცილებლად გაილაშქრებენ კომუნისტური წყობილების წინააღმდეგ და დაიწყებენ სწრაფვას „თავისუფლებისაკენ“, მათი გაგებით, წყობილებისაკენ, ე. ი. კაპიტალისტური წყობილებისაკენ.

როგორც ამბობენ, მშიერს ძილში ნაზუქი ესიზმრებაო. ასევე კაპიტალისტებს ესიზმრებათ სოციალისტური წყობილების დაღუპვა, კომუნიზმის დაღუპვა. მაგრამ ამას ვერ მოესწრებიან ვერც თვითონ ისინი, ვერც მათი შვილიშვილები და შვილთა შვილიშვილები. (ტ ა შ ი).

როდესაც ჩვენ გავაკრიტიკეთ ჩვენი სოფლის მეურნეობის ნაკლოვანებები, იმპერიალისტებმა ატეხეს ყვირილი სოფლის მეურნეობის „კრიზისის“ შესახებ საბჭოთა კავშირში და აცხადებდნენ, ახლა კი ბოლშევიკები „თავს ვერ დააღწევენო“. ახლა ყველა ხედავს, თუ როგორ გამოვედით ამ „კრიზისიდან“. ჩვენმა პარტიამ არათუ გაბედულად გააკრიტიკა ჩვენი ნაკლოვანებები, არამედ სოციალისტური სოფლის მეურნეობის აღმავლობის კონკრეტული ღონისძიებებიც შეიმუშავა. მან ისე მოაწყო საქმე, რომ სამი წლის განმავლობაში წარმატებით იქნა განხორციელებული მეცხოველეობის მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი პროდუქტების წარმოების გადიდების პროგრამა, რომელიც ნავარაუდევი იყო ექვსი წლისათვის. ახლა კაპიტალისტური სახელმწიფოების წარმომადგენლები კი, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში ჩამოდიან, აღარ ლაპარაკობენ ჩვენი სოფლის მეურნეობის „კრიზისის“ შესახებ, არამედ აღნიშნავენ მის დიდ წარმატებებს.

შემდეგ, როცა ჩვენ დავაყენეთ საკითხი მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნის შესახებ, კაპიტალისტებმა კვლავ დაიწყეს ყვირილი, საბჭოთა კავშირში მრეწველობა ცუდად მუშაობს და ბოლშევიკები მრეწველობის განვითარების სიძნელეებს თავს ვერ გაართმევენო. მაგრამ გავიდა მხოლოდ ნახევარი წელი, და ჩვენი მოწინააღმდეგეების ეს წინასწარმეტყველებაც გაცრუვდა.

იმპერიალისტები განსაკუთრებით ელოლიავებოდნენ იმ იდეას, არწმუნებდნენ თავიანთ თავს და ცდილობდნენ სხვებიც დაერწმუნებინათ, რომ სოციალისტური წყობილება ხელს არ უწყობს მეცნიერებისა და კულტურის განვითარებას, რომ იგი ზღუდავს ადამიანის მოღვაწეობას, და ავრცელებდნენ სხვა უაზრო მონაჩმახს. ისინი იმდენად დახელოვდნენ ამ ლაყბობაში, რომ უკვე თვითონ სჯეროდათ ეს მონაჩმახი. ზოგჯერ ხომ ასეც ხდება: კაცმა ერთხელ თქვა ტყუილი, შემდეგ მეორედ, ხოლო მესამედ ამას გაიმბობს როგორც მომხდარ ამბავს, რადგან შეეჩვია გამოგონილს.

მაგრამ ამ ბურჟუაზიულ მონაჩმახსაც მოეღო ბოლო. უცებ საბჭოთა კავშირში გაუშვეს საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტი, რომლის გამოცდამ დადებითი შედეგები გვიჩვენა. ახლა ჩვენ საშუალება გვაქვს რაკეტი გავუშვათ დედამიწის ყოველ წერტილში და, თუ საჭირო იქნა, წყალბადის ქურვით. ამ ცნობას უნდობლად შეხვდნენ და შეაფასეს ისე, რომ საბჭოთა ხელმძღვანელებს თითქოს სურთ გაამხნეონ თავიანთი ხალხი და დააშინონ დასავლეთის სახელმწიფოების მთავრობებიო. მაგრამ აი საბჭოთა კავშირმა საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტის საფუძველზე გაუშვა დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი და როდესაც ამ თანამგზავრმა დაიწყო ფრენა დედამიწის გარშემო და ცაში ახედვით ყველას შეეძლო მისი დანახვა, თუ კი მას არ დაკარგვია დანახვის უნარი, ჩვენი მოწინააღმდეგეები დადუმდნენ. ისინი ფიქრობდნენ, რომ თავდაპირველად მსუბუქი შოკით გადარჩებოდნენ. გამოჩნდა ერთი ისეთი ამერიკელი გენერალიც, რომელმაც განაცხადა, თანამგზავრის გაშვებას დიდი ჭკუა არ სჭირდება, ყოველ ადამიანს შეუძლია აიღოს ლითონის ნაჭერი და ცაში აგდოსო. აბა სცადე, აგდე, თუ ასეთი ჭკვიანი და ასეთი ძლიერი ხარ. (გ ა მ ო ც ო ც ხ ლ ე ბ ა დ ა რ ბ ა ზ შ ი. ტ ა შ ი). ამერიკელი გენერლის სულელური განცხადება სასაცილოდ აიგდეს თვით ამერიკელებმა, სხვებზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრის გაშვებიდან ერთი თვის შემდეგ გაშვებულ იქნა მეორე საბჭოთა თანამგზავრი 508 კილოგრამზე მეტი წონისა. დედამიწის ხელოვნური თანამგზავრების გაშვების შემდეგ თვით გამოუსწორებელ სკეპტიკოსებსაც კი გამოეცალათ ნიადაგი ჭორების გასავრცელებლად საბჭოთა მეცნიერების, კულტურის, ტექნიკის მდგომარეობის შესახებ.

რაღა უნდა ექნათ ამერიკელებს? მათ განაცხადეს:

— ჩვენც გავუშვებთ ჩვენს თანამგზავრს. და გამოაცხადეს, რომ ამა და ამ დღეს მათ სურთ გაუშვან დედამიწის ამერიკული ხელოვნური თანამგზავრი ფორთოხლის ზომისა და წონით რაღაც კილოგრამნახევრამდე. ამასთან ისინი ამბობდნენ, რომ მათი თანამგზავრი იმდენად პატარა იქნება, რომ არ გამოჩნდებაო. მათ მართლაც სცადეს გაეშვათ ხელოვნური თანამგზავრი, მაგრამ არაფერი არ გამოუვიდათ. ახლა უჩვენებენ კინოფილმს იმის შესახებ, თუ მათი თანამგზავრი, რომელიც ჰაერში ვერ ავიდა, როგორ აფეთქდა ადგილზე და დაიწვა რაკეტთან ერთად.

და მაშინ მათ სხვა გზა არა ჰქონდათ, გარდა იმისა, რომ ეღიარებინათ: დიახ, საბჭოთა კავშირმა ნამდვილად გაუსწრო ამერიკის შეერთებულ შტატებს მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში, რომ საბჭოთა კავშირი წელიწადში სამჯერ მეტ ინჟინერს ამზადებს, ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატები. მაგრამ აქაც გამოჩნდნენ ჭკუის კოლოფები, რომლებმაც დაიწყეს ყვირილი იმის შესახებ, რომ რუსებმა ამერიკელებს თანამგზავრების შექმნის პროექტი მოპარესო. მაგრამ ამ მყვირალებს თვით ამერიკელები შეეკითხნენ: თუ რუსებმა მოგვპარეს პროექტები და იმით ააგეს რაკეტი, გაუშვეს თანამგზავრები, რატომ არ შეგვიძლია ჩვენ ჩვენი საკუთარი ნახაზებითა და პროექტებით გავაკეთოთ ასეთივე რაკეტი და გავუშვათ ასეთივე ხელოვნური თანამგზავრებიო. ამრიგად, ეს მორიგი სისულელეც სასაცილოდ აიგდეს თვით ამერიკელებმა.

მაშინ გაჩნდა ახალი ვერსია: ზოგიერთმა დაიწყო მტკიცება — გერმანელები დაეხმარნენ რუსებს ბალისტიკური რაკეტის შექმნაშიო. რუსებმა ტყვედ ჩაიგდეს გერმანელი მეცნიერები და ინჟინრები. და მათი ცოდნა და გამოცდილება გამოიყენესო. მაგრამ გონებაფხიზელი ადამიანები კვლავ შეეკითხნენ: თუ გერმანელები დაეხმარნენ რუსებს, რატომ არ ეხმარებიან გერმანელები ამერიკის შეერთებულ შტატებს? ამერიკის ჯარებმა ხომ ხელთ ჩაიგდეს სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ლაბორატორია და „ფაუ-2“-ის მთავარი კონსტრუქტორი, წაიყვანეს იგი ამერიკაში და ამჟამად იგი მუშაობს ამერიკის შეერთებულ შტატებში რაკეტების შესაქმნელად.

საიდუმლო არ არის, რომ ჩვენში მართლაც მუშაობდა გერმანელთა მცირე ჯგუფი, რომლებიც მათ მიერ დადებული ხელშეკრულებების ვადების გასვლის გამო ან უკვე დაბრუნდნენ ან და ბრუნდებიან გერმანიაში. როდესაც ეს სპეციალისტები ბრუნდებოდნენ და უამბობდნენ იმაზე, რაც მათ იცოდნენ, ამერიკელები ფიქრობდნენ, რომ მათ სარწმუნო ინფორმაცია აქვთ იმის შესახებ, თუ როგორ დონეზეა საბჭოთა კავშირის რაკეტმშენებლობის განვითარების საქმეში. მაგრამ მას შემდეგ რაც ჩვენ გავუშვით ხელოვნური თანამგზავრი, ამერიკელებმა მორთეს ყვირილი:

„ჩვენ კვლავ მოგვატყუეს! გერმანელებმა, რომლებიც ჩვენთან მოვიდნენ, არაფერი არ იციან, თუ რას აკეთებენ რუსები. გერმანელები თურმე მონაწილეობას არ იღებდნენ რაკეტის შექმნაში“.

საბჭოთა კავშირმა საქმით დაამტკიცა, რომ საბჭოთა სისტემა, სოციალისტური წყობილება ყველაზე პროგრესული წყობილებაა, რომელიც თავისუფლებას აძლევს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარებას, ქმნის ყველაზე ხელსაყრელ პირობებს მეცნიერების, ხელოვნების, კულტურის განსავითარებლად. ჩვენმა ქვეყანამ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 40 წლის მანძილზე უდიდეს წარმატებებს მიაღწია თავის განვითარებაში. მეცნიერების მთელ რიგ მნიშვნელოვან დარგებში ჩვენმა ქვეყანამ გაუსწრო ყველაზე დიდად განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყანას, როგორიც არის ამერიკის შეერთებული შტატები. საბჭოთა კავშირში შექმნილ და წარმატებით გაშვებულ იქნა მსოფლიოში პირველი დედამიწის ხელოვნური თანამგზავრები. და ეს, რა თქმა უნდა, სრულიადაც არ არის საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის, ჩვენი სოციალისტური ინდუსტრიის უკანასკნელი სიტყვა. მთელ მსოფლიოში გაკვირვება გამოიწვია იმან, რომ მეორე ხელოვნური თანამგზავრის წონამ ექვსჯერ და მეტად გადააჭარბა პირველი თანამგზავრის წონას და შეადგინა ნახევარტონაზე მეტი. მაგრამ ესეც არ არის ზღვარი. ჩვენ შეგვიძლია გავაორკეცოთ, და გაორკეცებულზე მეტად გავადიდოთ თანამგზავრის წონა, რადგან საბჭოთა საკონტინენტთაშორისო რაკეტს უდიდესი სიმძლავრე აქვს, რაც საშუალებას გვაძლევს გავუშვათ უფრო დიდი წონის თანამგზავრი უფრო დიდ სიმაღლეზე. და ჩვენ ამას, შესაძლოა, გავაკეთებთ! (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი).

იმპერიალისტების სერიოზულ შეშფოთებას იწვევს ჩვენი წარმატებები რაკეტმშენებლობის, ატომის ენერგიის მშვიდობიანი მიზნებისათვის გამოყენების დარგში, რეაქტიული თვითმფრინავების შექმნაში. უკვე ორ წელზე მეტია საბჭოთა კავშირში სამგზავრო ხაზებზე დაფრინავს რეაქტიული თვითმფრინავი „ტუ-104“, რომელიც შექმნილია გამოჩენილი საბჭოთა კონსტრუქტორის აკადემიკოს ტუპოლევის მიერ. ასეთი თვითმფრინავის გამოშვებას ამერიკელები მხოლოდ 1959 წელს აპირებენ. ასეთი თვითმფრინავი არა აქვთ არც სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებს. ჩვენში კი შექმნილია უფრო მძლავრი თვითმფრინავი — „ტუ-114“, აგრეთვე სხვა თვალსაჩინო საბჭოთა ავიაკონსტრუქტორების ახალი მძლავრი თვითმფრინავები.

როდესაც ჩვენ 1956 წლის გაზაფხულზე ნ. ა. ბულგანინთან ერთად ვიყავით ლონდონში და მოლაპარაკებას ვაწარმოებდით ბატონებთან იდენთან, ლოიდთან, მაკმილანთან, ბატლერთან და ინგლისის სხვა სახელმწიფო მოღვაწეებთან, ჩვენ გულახდილად ვუთხარით მათ, რომ გვაქვს მოქმედების სხვადასხვა რადიუსის რაკეტები. უფრო გვიან, როდესაც ისრაელი, ინგლისი და საფრანგეთი თავს დაესხნენ ეგვიპტეს, საბჭოთა მთავრობამ დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრისადმი წერილში განაცხადა: რა მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა თვით ინგლისი, მას რომ თავს დასხმოდნენ უფრო ძლიერი სახელმწიფოები, რომლებსაც აქვთ ყველა სახეობის თანამედროვე გამანადგურებელი იარაღი. ასეთ ქვეყნებს, ნათქვამი იყო ამ წერილში, ხომ შეეძლოთ არც კი გაეგზავნათ ინგლისის ნაპირებისაკენ სამხედრო-საზღვაო ან სამხედრო-საჰაერო ფლოტი, არამედ გამოეყენებინათ სხვა საშუალებები, მაგალითად, რაკეტული ტექნიკა.

საბჭოთა მთავრობის ამ განცხადებამ იმოქმედა მათზე. ჩანს ისინი წინათ ფიქრობდნენ, რომ ჩვენ მათ მხოლოდ ვაშინებდით, როცა გულახდილად ვამბობდით, რომ საბჭოთა კავშირს აქვს მძლავრი რაკეტული ტექნიკა. მაგრამ შემდეგ ისინი დარწმუნდნენ, რომ ჩვენ მართლა გვაქვს ასეთი ტექნიკა. და ამან თავისი გავლენა მოახდინა. (ტ ა შ ი).

ახლა იმპერიალისტები ცდილობენ დააშინონ საბჭოთა კავშირი და სხვა მშვიდობისმოყვარე ქვეყნები იმით, რომ ისინი აშენებენ ატომურ ბაზებს და რაკეტების გასაშვებ მოედნებს ნატოსა და სხვა აგრესიულ ბლოკებში შემავალი ქვეყნების ტერიტორიაზე. მაგრამ მათ ჯერ კიდევ არა აქვთ რაკეტები ასეთი ბაზებისათვის და აპირებენ მომავალში შექმნან ასეთი რაკეტები. მაშასადამე, 2-3 წელიწადი გაივლის, სანამ ისინი შეძლებენ მათთვის საჭირო რაკეტებით უზრუნველყონ ეს მოედნები. ჩვენ უკვე დღეს გვაქვს ისეთი რაკეტები, რომლებიც შეიძლება გაშვებულ იქნას დედამიწის ყოველ რაიონში აგრესორებისათვის გამანადგურებელი ლახვარის ჩასაცემად, თუ ისინი შეეცდებიან გააჩაღონ ახალი ომი. ისე რომ იმპერიალისტები ჩვენ ვერ შეგვაშინებენ. საბჭოთა ადამიანები მშიშარები როდი არიან და დაე სამხედრო ავანტიურების მოყვარულებმა თავიანთ თავზე იფიქრონ. ჩვენ კი გვაქვს, რითაც დავიცვათ საბჭოთა ხალხის ღირსება, თავისუფლება, დამოუკიდებლობა, დიადი მონაპოვარნი. (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი).

ამხანაგებო! „ძალის პოზიციის“ პოლიტიკის ქება-დიდებაში განსაკუთრებით აქტიურად ვარჯიშობს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ბ-ნი დალესი. იგი მუდამ გაიძახის, რომ საბჭოთა კავშირს შეიძლება ელაპარაკონ მხოლოდ მაშინ, როცა ამერიკის შეერთებულ შტატებს მიაჩნიათ, რომ მათ ძალის მხრივ უთუოდ აქვთ უპირატესობა საბჭოთა კავშირთან შედარებით, ე. ი. ელაპარაკონ ულტიმატუმებისა და დიქტატის ენით. ამაზე ჩვენ ყოველთვის ვაცხადებდით, რომ ეს უგუნური პოლიტიკაა. ამერიკის შეერთებული შტატების მმართველ წრეებს მუდამ მიაჩნდათ, რომ ისინი ჩვენზე ძლიერნი არიან. ჩვენ კი ამის შესახებ სხვა აზრისა ვართ. საბჭოთა ხელოვნური თანამგზავრების გაშვების შემდეგ მთელი მსოფლიო ალაპარაკდა იმაზე, რომ საბჭოთა კავშირმა გაუსწრო ამერიკის შეერთებულ შტატებს მეცნიერებისა და ტექნიკის ბევრ დარგში. თვითონ ამერიკელებიც იძულებული გახდნენ განეცხადებინათ: „დიახ, ჩვენ გაგვისწრეს“.

მაგრამ ჩვენ ყოველთვის ვამბობდით და ვამბობთ: მოდით გავაუმჯობესოთ ჩვენი ურთიერთობა, მოდით ვივაჭროთ, მოდით განვავითაროთ მეცნიერული, კულტურული, სპორტული ურთიერთობა. მოდით შევხვდეთ ერთმანეთს და საქმიანად განვიხილოთ მომწიფებული საერთაშორისო პრობლემები. ჩვენი წინადადება იყო და არის „ცივი ომის“ და გამალებული შეიარაღების შეწყვეტა, „ძალის პოლიტიკაზე“ ხელის აღება, ომით დაშინების პოლიტიკაზე ხელის აღება და ჩვენი ურთიერთობის შენელება მშვიდობიანი თანაარსებობის საფუძველზე. ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები ახლა აცხადებენ — ჯერ უნდა დავეწიოთ საბჭოთა კავშირს, ხოლო როცა გავუთანასწორდებით მას მეცნიერულ მიღწევებში, მაშინ ლაპარაკიც შეიძლებაო.

ასეთი პოლიტიკის უნიადაგობა ცხადია. მთელი საბჭოთა კავშირი, სანამ ჩვენ დაწევას დაგვიწყებენ, ერთ ადგილზე ხომ არ იქნება გაჩერებული. ჩვენ არ ვისხდებით და ჩაის სმით არ შევიქცევთ თავს. ჩვენც ხომ რაღაცას გავაკეთებთ, რომ არ დაგვეწიონ. ისე რომ იმპერიალისტების ასეთმა უგუნურმა პოლიტიკამ შეიძლება გამოიწვიოს მხოლოდ დაუსრულებელი გამალებული შეიარაღება აქედან გამომდინარე ყველა შედეგით.

მონოპოლისტურ წრეებს არა სურთ საერთაშორისო დაძაბულობის შენელება, არა სურთ გამოეთხოვონ „ცივი ომის“ პოლიტიკას და ყოველნაირად აფერხებენ მომწიფებული საერთაშორისო პრობლემების მოწესრიგებას მოლაპარაკების გზით. ისინი ჯიბეს იქვლებენ ომის ფსიქოზის ვითარებაში, მოსახლეობას აძლევინებენ მეტ გადასახადებს, იღებენ ზღაპრულ მოგებას თვითმფრინავების, ზარბაზნების, რაკეტების, სამხედრო ხომალდების, ატომური იარაღის წარმოებით.

ასეთია ზოგადად საერთაშორისო ვითარება. ერთი მხრივ — იზრდება ხალხთა საყოველთაო მისწრაფება მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებისაკენ. მიმდინარეობს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შემდგომი ზრდა და აზიისა და აფრიკის ხალხების სოლიდარობის განმტკიცება კოლონიზატორთა წინააღმდეგ ბრძოლაში. აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის კაიროს კონფერენციამ ცხადყო, რომ ხალხები ამჟამად აღსავსე არიან ძალებითა და სურვილით იბრძოლონ კოლონიალიზმისა და იმპერიალისტური რეაქციის წინააღმდეგ. ადამიანებს სურთ ბოლო მოუღონ „ცივ ომს“, შეწყდეს გამალებული შეიარაღება, აიკრძალოს ატომური და წყალბადის იარაღი, განთავისუფლებულ იქნას კაცობრიობა ახალი მსოფლიო ომის წარმოშობის საფრთხისაგან.

მეორე მხრივ ვხედავთ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა აგრესიული წრეების მისწრაფებას საერთაშორისო დაძაბულობის გამწვავებისაკენ, გამალებული შეიარაღების განგრძობისაკენ გადასახადის მილიონობით გადამხდელთა ხარჯზე ერთი მუჭა მონოპოლისტების გამდიდრების მიზნით, „ცივი ომის“ გაძლიერებას „ძალის პოზიციის“ პოლიტიკის საფუძველზე, იმის ცდებს, რომ შეაჩერონ იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის რღვევა, ჩაახრჩონ ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ. იმპერიალისტური ქვეყნების მმართველი წრეები ახორციელებენ სამხედრო ბლოკების შემდგომი განმტკიცების პოლიტიკას, ცდილობენ გააერთიანონ ყველა აგრესიული ბლოკი, როგორიც არის ნატო, ბაღდადის პაქტი, სეატო, ერთიან სამხედრო აგრესიულ ბლოკად ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით. განა მსოფლიო ბატონობის ახლანდელი პრეტენდენტების ასეთი პოლიტიკა არ მოგვაგონებს პოლიტიკას, რომელსაც ახორციელებდნენ ჰიტლერი და მუსოლინი, როცა ისინი აგრეთვე აშენებდნენ თავიანთ პოლიტიკას ძალის საფუძველზე, ქმნიდნენ უბადრუკ ანტიკომინტერნულ პაქტს, ბერლინ-რომი-ტოკიოს ღერძს?

მაგრამ ყველამ იცის, რით დამთავრდა ეს ფაშისტური წამოწყება. ჰიტლერმა, მუსოლინიმ და სხვა ფაშისტმა მეთაურებმა უკვე დიდი ხანია გაათავეს მსოფლიოსათვის ცეცხლის შეკეთება თავიანთი დანაშაულებრივი ავანტიურებით, საბჭოთა კავშირი კი იზრდება და მტკიცდება. ახლა უკვე მარტო საბჭოთა კავშირი როდი მიდის კომუნიზმის გზით. ამ გზას მტკიცედ და საბოლოოდ დაადგნენ ევროპისა და აზიის ბევრი ქვეყნის ხალხები. ახლა არსებობს, როგორც მშვიდობის მძლავრი ფაქტორი, სოციალიზმის მსოფლიო სისტემა.

საბჭოთა კავშირი თანმიმდევრულად ახორციელებდა და ახორციელებს მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას. საბჭოთა მთავრობამ, რომელიც ისწრაფვის უზრუნველყოს მშვიდობა მთელ მსოფლიოში, წამოაყენა ახალი კონკრეტული წინადადებანი საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საკითხებზე. საბჭოთა მთავრობამ წერილობით მიმართა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ბ-ნ ეიზენჰაუერს, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს ბ-ნ მაკმილანს, საფრანგეთის პრემიერ-მინისტრს ბ-ნ გაიარს, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერს ბ-ნ ადენაუერს, ნატოს მონაწილე სახელმწიფოთა მთავრობების ყველა მეთაურს, აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შემავალი ყველა ქვეყნის მთავრობებს.

როგორც მოგეხსენებათ, საბჭოთა კავშირმა წინადადება წამოაყენა უახლოესი 2-3 თვის განმავლობაში მოწვეულ იქნას მთელი რიგი სოციალისტური და კაპიტალისტური სახელმწიფოების წარმომადგენელთა თათბირი მაღალ დონეზე, ესე იგი ამ ქვეყნების პასუხისმგებელ ხელმძღვანელ სახელმწიფო მოღვაწეთა თათბირი, ყველაზე უმნიშვნელოვანი და სასწრაფო საერთაშორისო საკითხების განსახილველად. რატომ ვიძლევით წინადადებას, რომ მოწვეულ იქნას ასეთი თათბირი? უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ მოლაპარაკება, დამშვიდებული და გონივრული მოწესრიგება ახლანდელი უთანხმოებებისა, რომლებიც დიდ სახელმწიფოებს თიშავს ან, ყოველ შემთხვევაში, ზოგიერთი ამ უთანხმოებისა, — ერთადერთი გზაა, რომლითაც ყველას შეგვიძლია ვიაროთ, თუ ჩვენი მისწრაფება იქნება მშვიდობა, თუ არ გვენდომება სხვა გამოსავალი — ომი.

ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია სახელმწიფოთა ხელმძღვანელი მოღვაწეების თათბირის ყურადღება მივაპყროთ უწინარეს ყოვლისა ყველაზე გადაუდებელ საკითხებს, რათა დასაბამი მიეცეს მთელი საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღებას. ჩვენ სწორედ ასეთ პოზიციაზე ვდგავართ — საჭიროა მოვაწყოთ შეხვედრა და განვიხილოთ ის საკითხები, რომლების გადაწყვეტა უკვე ახლა შეიძლება, ხოლო ასეთი საკითხები არის, მათ შორის ძალიან მნიშვნელოვანიც. ჩვენ წინადადებას ვიძლევით მოწვეულ იქნას ასეთი თათბირი, ვხელმძღვანელობთ რა დადებითი შედეგების მიღწევისადმი მისწრაფებით. ამან უნდა გამოიწვიოს დაძაბულობის შენელება, შექმნას პირობები „ცივი ომის“ სრული ლიკვიდაციისათვის. სხვა პრობლემების განხილვა შეიძლება გადაიდოს მოლაპარაკების უფრო შემდგომი ეტაპისათვის. მომწიფებული საერთაშორისო საკითხების ასე ეტაპობით, თანდათანობით განხილვა ყველაზე რეალისტური და გონივრულია.

მაგრამ, სამწუხაროდ, დასავლეთის ქვეყნების მმართველი წრეები, რომლებსაც არა სურთ დაძაბულობის შენელება, არა სურთ „ცივი ომის“ ლიკვიდაცია და გამალებული შეიარაღების შეწყვეტა, პირიქით, განსახილველად აყენებენ უწინარეს ყოვლისა ისეთ საკითხებს, რომლებზეც უფრო ძნელი ან შეუძლებელიც კია შეთანხმების მიღწევა. ამასთან ასეთ საკითხებს აყენებენ თითქმის ულტიმატური ფორმით. ისინი აცხადებენ, რომ თუ მათ მიერ დაყენებული საკითხები არ გადაწყდება, შეხვედრაც საჭირო არ არის, საბჭოთა კავშირთან შეთანხმება შეუძლებელიაო.

რისთვის კეთდება ეს? ადამიანებს, რომლებიც თათბირის მოწვევას ასეთი საზომით უდგებიან, არათუ არა სურთ საერთაშორისო დაძაბულობის შენელება, არამედ ისინი ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ კიდევ უფრო გააძლიერონ ეს დაძაბულობა, გაავრცელონ ომის ფსიქოზი, რათა მით უფრო ადვილად გამოიყენონ ეს დაძაბულობა, ხალხების შიში ომის წინაშე თავიანთი მიზნებისათვის, გამდიდრების მიზნებისათვის. ჩვენ კი, მშვიდობის მომხრეებს, გვსურს, რომ გადაუდებლად მოეწყოს შეხვედრა მაღალ დონეზე, გადაიჭრას მომწიფებული საკითხები. რა თქმა უნდა, თუ ორივე მხრივ იქნება სურვილი, და ამრიგად შეიქმნას სახელმწიფოებს შორის ურთიერთობაში გულთბილობის გარკვეული ატმოსფერო. ასეთი გულთბილი ატმოსფერო ხელს შეუწყობდა იმას, რომ გაზაფხულის ნიავის ქროლვა თანდათანობით ძლიერდებოდეს და აღნობდეს ყინულს, შექმნიდა პირობებს, რომ გამთბარ მიწაზე უფრო სწრაფად აღმოცენდნენ ახალი ყლორტები, მტკიცდებოდეს ნდობა სახელმწიფოებს შორის, იზრდებოდეს და მტკიცდებოდეს მშვიდობის საქმე.

არა გვგონია შეიძლებოდეს დაეჭვება იმაში, რომ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებით დაინტერესებული არიან არა მარტო საბჭოთა კავშირის ხალხები, არამედ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის, ყველა სხვა ქვეყნის ხალხებიც. აი მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი და მთელი რიგი ქვეყნების მთავრობები რატომ შეხვდნენ მოწონებით საბჭოთა მთავრობის ახალ მშვიდობისმოყვარულ წინადადებებს.

ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ბ-ნმა ჯ. ნერუმ საბჭოთა მთავრობის მიმართვაზე თავის საპასუხო წერილში განაცხადა:

„ჩვენ გეთანხმებით იმაში, რომ თათბირი მაღალ დონეზე როგორც სასურველი, ისე საჭიროც არის. ჩვენ მივესალმებოდით ასეთ თათბირს, იმისაგან დამოუკიდებლად, შეზღუდული იქნება იგი მონაწილეთა მცირე თუ დიდი რაოდენობით“.

დანიის პრემიერ-მინისტრმა ბ-ნმა ჰ. კ. ჰანსენმა დანიის პარლამენტში თავის გამოსვლაში თქვა:

„ჩვენ, დანიის მხრივ დადებითად ვეკიდებით აზრს, რომ მოეწყოს თათბირი მაღალ დონეზე აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, და ამაში, როგორც ვფიქრობ, ყველა დამეთანხმება. ამჟამად, რა თქმა უნდა, არავის არ შეუძლია ჰქონდეს რაიმე წარმოდგენა იმის შესახებ, თუ ამ შემთხვევაში რომელი ქვეყნები მიიღებენ მონაწილეობას ამ მოლაპარაკებაში. მაგრამ თუ ეს საკითხი ჩვენთვის საჭირბოროტო გახდა, ვფიქრობ, რომ არ წარმოიშობა არავითარი მოსაზრება იმის წინააღმდეგ, რომ ჩვენ დადებითი პასუხი გავცეთ ასეთ თათბირში მონაწილეობისათვის შესაძლო მიწვევას“.

ავღანეთის პრემიერ-მინისტრი ბ-ნი მ. დაუდი ამბობს:

„ავღანეთის მთავრობა, რომელიც მხარს უჭერს საბჭოთა მთავრობის იმ წინადადებას, რომელიც დიდ სახელმწიფოთა მეთაურების პირად შეხვედრებს ითვალისწინებს, მიაჩნია ისინი სასარგებლო და ბრძნულ ნაბიჯად, რომლის მიზანია საერთაშორისო დაძაბულობის ლიკვიდაცია და არსებულ სიძნელეთა უმრავლესობის მოწესრიგება“.

მთელი რიგი სხვა სახელმწიფოების მთავრობათა საპასუხო წერილებში გამოთქმულია აგრეთვე დადებითი დამოკიდებულება მაღალ დონეზე თათბირის მოწვევის იდეისადმი, თუმცა ამ პასუხებში არის აზრთა სხვადასხვა ელფერები.

როგორ გამოეხმაურნენ დასავლეთის სახელმწიფოთა ხელმძღვანელები საბჭოთა კავშირის წინადადებებს? კონგრესისადმი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის წერილში „ქვეყნის მდგომარეობის შესახებ“ ნათქვამია:

„აი იმის არსი, რის თქმაც ჩვენ გვინდა: „ბოლოს და ბოლოს ჩვენს წინაშე მდგომ მკაცრ პრობლემებს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი გადაწყვეტა. მთელმა მსოფლიომ უნდა აღკვეთოს ახლანდელი სწრაფი მოძრაობა სულ უფრო და უფრო დამანგრეველი იარაღისაკენ და გააკეთოს მობრუნება, რომელიც მტკიცედ წარმართავს ჩვენს ნაბიჯებს ხანგრძლივი მშვიდობის გზით.

წარმატების უდიდეს იმედს ჩვენ გვინერგავს მთელ მსოფლიოში აღიარებული ფაქტი: მთელი მსოფლიოს ადამიანებს, არიან რა ადამიანები, მუდამ სურდათ მშვიდობა და ახლაც სურთ მშვიდობა.

ამრიგად, ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ვიპოვნოთ საშუალება ამ საყოველთაო მისწრაფების გადაქცევისა მოქმედებად.

ამისათვის საჭირო იქნება არა მარტო სიტყვები მშვიდობის შესახებ. ამისათვის საჭირო იქნება სამშვიდობო საქმეები“.

აი სწორედ აქ, როგორც იტყვიან, მარხია ძაღლის თავი. ბატონი ეიზენჰაუერი გადაკვრით ლაპარაკობს რაღაცაზე, რაზეც ახლავე მოგახსენებთ.

შეიძლება დავეთანხმოთ ბ-ნ ეიზენჰაუერის სიტყვებს, რომ საჭიროა არა მარტო სიტყვები მშვიდობის შესახებ, არამედ სამშვიდობო საქმეებიც. მაგრამ ეს ორივე მხრიდან უნდა იყოს, და არა მარტო საბჭოთა მხრიდან. საბჭოთა კავშირი უკვე საქმით ამტკიცებს თავის მისწრაფებას მშვიდობისადმი. ჩვენმა მთავრობამ განახორციელა თავისი შეიარაღებული ძალების ცალმხრივი შემცირება 1.800 ათასი კაცით. ჩვენ განვახორციელეთ მთელი რიგი საგარეო პოლიტიკური აქციები საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და „ცივი ომის“ შეწყვეტის სასარგებლოდ, მოვახდინეთ ჩვენი სამხედრო ბაზების ლიკვიდაცია პორკალა-უდსა და პორტ-არტურში, შევამცირეთ ჩვენი შეიარაღებული ძალები 30 ათასითა და მეტით გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, მოვაწესრიგეთ მშვიდობიანი ურთიერთობა ავსტრიასთან, მოვახდინეთ იაპონიასთან ომის მდგომარეობის ლიკვიდაცია, ბევრი რამ გავაკეთეთ მშვიდობის საქმის განმტკიცებისათვის. ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის მთავრობებს კი ჯერჯერობით თითქმის არაფერი არ გაუკეთებიათ საბჭოთა კავშირის კონკრეტული მშვიდობისმოყვარული ნაბიჯების საპასუხოდ.

მაშ რა სამშვიდობო საქმეებზე ლაპარაკობს ბ-ნი პრეზიდენტი? მართლაც, მსოფლიო ელოდება, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის, დასავლეთ გერმანიის მთავრობები, ბოლოს და ბოლოს, როდის შეიტანენ თავიანთ წვლილს და შეუდგებიან სამშვიდობო საქმეებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ „ცივი ომის“ ლიკვიდაციას და მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობის დამყარებას. ეს არის მთავარი. (ტაში).

საბჭოთა კავშირი კვლავ საქმით ცხადყოფს თავის გულწრფელ მისწრაფებას განამტკიცოს მშვიდობა და საერთაშორისო უშიშროება. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილების განსახორციელებლად საბჭოთა მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება კიდევ 300 ათასი კაცით შეემცირებინა შეიარაღებული ძალები. აქედან 41 ათასზე მეტი ჯარისკაცი გამოიყვანება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან და 17 ათასზე მეტი უნგრეთიდან.

განა ეს სამშვიდობო საქმეები არ არის, ბატონო ეიზენჰაუერ, დალეს და სხვა ბატონებო, რომლებზეც დამოკიდებულია „ცივი ომის“ ლიკვიდაცია და საერთაშორისო დაძაბულობის შენელება?

მაგრამ ერთხელ კიდევ მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ასეთ სამშვიდობო საქმეებს უნდა ახორციელებდნენ არა მარტო საბჭოთა კავშირი და სხვა მშვიდობისმოყვარე ქვეყნები, არამედ დასავლეთის ყველა სახელმწიფოც. მაშინ შეიძლება მტკიცედ ითქვას, რომ მართლაც წარმატებით გადაწყდება ყველა საკითხი, რომლებიც კაცობრიობას აღელვებს.

თავის პასუხში საბჭოთა მთავრობის 1957 წლის 10 დეკემბრის წერილზე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა გამოთქვა თანხმობა საბჭოთა მთავრობის წინადადებაზე დასავლეთისა და აღმოსავლეთის სახელმწიფო მოღვაწეთა თათბირის მოწვევის შესახებ.

მის წერილში ნათქვამია:

„მე მზად ვარ შევხვდე საბჭოთა ხელმძღვანელებს [illegible]“.

მაგრამ ბატონი ეიზენჰაუერი წინადადებას აყენებს ჯერ კიდევ თათბირამდე მაღალ დონეზე მოეწყოს საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი [illegible]

[illegible] მსოფლიოს მშვიდობის საქმისა და სამართლიანობის განმტკიცების იმედს“.

თითქოს ყველაფერი კარგად მიდის. თავის წერილში ბ-ნი ეიზენჰაუერი აკეთებს შემდეგ „საზეიმო და კატეგორიულ განცხადებებს“:

„1. შეერთებული შტატები არასოდეს არ დაუჭერენ მხარს რაიმე აგრესიულ მოქმედებას კოლექტიური თავდაცვის რომელიმე ორგანიზაციის ან მისი წევრი რომელიმე სახელმწიფოს მხრივ;

2. შეერთებული შტატები მუდამ მზად იქნებიან ხელი შეუწყონ კოლექტიური უშიშროების დარგში გაერთიანებული ერების ეფექტურ ღონისძიებათა სისტემის განვითარებას კოლექტიური თავდაცვის რეგიონალურ ღონისძიებათა შესაცვლელად“.

არ შეიძლება არ მივესალმოთ ბ-ნ ეიზენჰაუერის ამ განცხადებებს. მაგრამ როგორ შევათავსოთ ისინი პრეზიდენტის მოთხოვნებთან, რომ ასეთ თათბირზე განხილულ იქნას აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების, ე. ი. სახალხო დემოკრატიის ქვეყნების საკითხი, აგრეთვე განხილულ იქნას საკითხი გერმანიის გაერთიანების შესახებ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ლიკვიდაციის გზით?

საბჭოთა კავშირს არაერთხელ გამოუთქვამს თავისი პოზიცია როგორც სახალხო დემოკრატიის ევროპული ქვეყნების საკითხზე, რომელთა ხალხებმა თავისუფლად აირჩიეს განვითარების თავიანთი გზა, ისე გერმანიის საკითხზე.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისათვის ცნობილია საბჭოთა მთავრობის თვალსაზრისი ამ საკითხებზე. მიუხედავად ამისა, თავის საპასუხო წერილში ბ-ნი ეიზენჰაუერი წერს:

„მე ვიცი, რომ თქვენი მთავრობა უხალისოდ თანხმდება ამ საკითხების განხილვაზე და უხალისოდ მიიჩნევს ხოლმე მათ საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე საკითხებად...

ეს იყო კიდევ ერთი საკითხი, რომელიც დასმული იქნა ჩვენ თათბირზე ჟენევაში 1955 წელს. [illegible]

[illegible]

(გ ა გ რ ძ ე ლ ე ბ ა მ ე-3 გ ვ ე რ დ ზ ე)

(გაგრძელება მე-3 გვერდზე)

# საერთაშორისო მდგომარეობის ზოგიერთი საკითხის შესახებ

## ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლა ბელორუსიის სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირზე 1958 წლის 22 იანვარს

(გაგრძელება)

მიმდევრებისათვის, ეს საკმარისი არ არის? განა ჩვენმა ხალხმა დამაჯერებლად არა თქვა — სოციალიზმს უჭერს იგი მხარს თუ კაპიტალიზმს? ვინ გზავნიდა მაშინ ამ ჯარებს ჩვენს ქვეყანაში? ინგლისის მთავრობის სათავეში მაშინ იყო ლოიდ ჯორჯი, ხოლო სამხედრო მინისტრი იყო უ. ჩერჩილი; საფრანგეთის პრეზიდენტი მაშინ იყო პუანკარე, ხოლო პრემიერ-მინისტრი და სამხედრო მინისტრი — კლემანსო. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი იყო ვუდრო ვილსონი (არ მახსოვს, ვინ შეცვალა იგი და ვისთან დაამთავრა საბჭოთა ხალხმა მის მიერ დაწყებული „მოლაპარაკება“). პოლონეთში ხელისუფლების სათავეში იდგა პან პილსუდსკი. ბევრი ეს ბატონი, რომლებიც ცდილობდნენ ასეთი „მოლაპარაკება“ ეწარმოებინათ საბჭოთა ხალხთან, ცოცხალი აღარ არის, მაგრამ ზოგიერთი ჯერ კიდევ ცოცხალია. მაშ დაე „გამოკითხვის“ ახლანდელმა მომხრეებმა რჩევა ჰკითხონ იმათ, ვინც მოაწყო ინტერვენცია საბჭოების რესპუბლიკის წინააღმდეგ, ჰკითხონ მათ, რით თავდება ხოლმე ასეთი „მოლაპარაკება“ და „გამოკითხვა“. (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი).

უფრო გვიან, როცა ზოგიერთ ქვეყანაში ძალაუფლება ხელთ იგდეს ფაშისტებმა, იმათაც სცადეს მოეწყოთ ასეთი „გამოკითხვა“. ჰიტლერმა ომი გამოუცხადა კომუნიზმს, განაცხადა რა, რომ იგი მოსპობს კომუნიზმს. გერმანიაში ძალაუფლების ხელში ჩაგდების პირველივე დღეებიდან მან დაიწყო მზადება ომისათვის. მას დაეხმარნენ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის მონოპოლისტური ჯგუფები. ისინი მთელი ძალღონით ცდილობდნენ წაესისიანებინათ ჰიტლერული გერმანია საბჭოთა კავშირისათვის. ფაშისტები გამცემლურად და ვერაგულად დაესხნენ თავს ჩვენს სამშობლოს. ჩვენ ეს უნდა მოვაგონოთ ბ-ნ ადენაუერს, თორემ მას, შეიძლება, უკვე დაავიწყდა, რომ სწორედ ფაშისტური გერმანია ავაზაკურად დაესხა თავს საბჭოთა კავშირს. ჰიტლერი, გებელსი და სხვები გაჰყვიროდნენ, საბჭოთა კავშირი თიხისფეხებიანი ბუმბერაზიაო. ზოგიერთი დასავლეთელი პოლიტიკური მოღვაწე ჩასჩურჩულებდა ფაშისტ მესვეურებს, რომ გერმანული ტანკები საბჭოთა სახელმწიფოს სხეულში შეიჭრებიან, შევლენ, როგორც დანა შედის კარაქში. ასეთი პოლიტიკა აგულიანებდა, აქეზებდა ჰიტლერს ავაზაკური საქმეებისათვის. და გერმანელი ფაშისტები, თავს დაესხნენ რა საბჭოთა კავშირს, ფიქრობდნენ, რომ მათი არმიებისათვის ეს იქნებოდა რაღაც მსუბუქი გასეირნების მაგვარი.

ისარგებლეს რა თავდასხმის უეცრობითა და სხვა ფაქტორებით, რომლებიც მაშინ ჩვენს სასარგებლოდ როდი იქმნებოდა, გერმანიის ჯარებმა მოაღწიეს მოსკოვისა და ლენინგრადის მისადგომებამდე, მივიდნენ სტალინგრადამდე. მაგრამ უყველივე ეს რით გათავდა? გათავდა გერმანიის ფაშისტური სახელმწიფოს სრული განადგურებით. საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა, მთელმა საბჭოთა ხალხმა, რომელიც აღდგა წმიდა სამამულო ომისათვის, ხერხემალი გადაუმტვრიეს ფაშისტურ მხეცს, გაანადგურეს ჰიტლერელთა არმიები და ამით ერთხელ კიდევ ცხადყვეს, რა ბედი ელით იმათ, ვინც თავის ავანტიურისტულ ზრახვებს აგებს სოციალისტური წყობილების უმყარობაზე.

როცა საბჭოთა არმია შეუპოვარ ბრძოლებს ეწეოდა ჰიტლერული არმიების წინააღმდეგ, გერმანელ დამპყრობთა მიერ ოკუპირებული ქვეყნების ხალხებმა თავიანთ ქვეყნებში გააჩაღეს პარტიზანული ომი ფაშიზმის წინააღმდეგ. გარკვეულ ეტაპზე ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში საბჭოთა შეიარაღებულ ძალებთან ერთად ჩაებნენ პოლონეთის, ალბანეთის, იუგოსლავიის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, რუმინეთის, უნგრეთის მუშათა კლასი და მშრომელი გლეხობა, რომლებმაც თავიანთი კომუნისტური პარტიების ხელმძღვანელობით დიდი წვლილი შეიტანეს ჰიტლერელთა ურდოების განადგურებაში. ფაშიზმის განადგურების შედეგად, სახალხო-დემოკრატიული რევოლუციების შედეგად ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში ხალხებმა დაამყარეს სახალხო-დემოკრატიული წყობილება. განა ეს ხმის მიცემა არ არის, ამხანაგებო? განა ეს არ იყო საყოველთაო-სახალხო გამოკითხვა ევროპის ქვეყნებში, რომელთა ხალხები მტკიცედ დადგნენ მარქსიზმ-ლენინიზმის დროშის ქვეშ, წარმატებით ავითარებენ თავიანთ მეურნეობას, თავიანთ სახალხო სახელმწიფოს, თავიანთ საზოგადოებას სოციალისტურ საწყისებზე? (ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ი ტ ა შ ი).

კიდევ როგორიღა „გამოკითხვა“ ნებავთ ბატონ იმპერიალისტებს? განა ეს არ იყო ხალხთა ნების გამოთქმის დამაჯერებელი საშუალება? როგორც ჩანს, მათ სურთ სოციალისტური ქვეყნების ხალხებს ძალით მოახვიონ თავს კაპიტალისტური წესები.

მაგრამ მათ „გამოკითხვის“ ეს მეთოდი ხომ ჩვენს ქვეყანაზე გამოსცადეს. გაიხსენეთ 1919 წელი, როცა კოლჩაკი, რომელმაც თითქმის მთელი ციმბირი დაიპყრო, მოსკოვისაკენ დაიძრა, როცა იუდენიჩი ემუქრებოდა რევოლუციურ პეტროგრადს, როცა დენიკინის თეთრმა არმიებმა დაიკავეს ორიოლი, უახლოვდებოდნენ ტულას და მოისწრაფოდნენ მოსკოვისაკენ. მაშინ თავისუფალი იყო საბჭოთა მიწა-წყლის მხოლოდ მცირე ნაწილი. მაგრამ ჩვენი პარტიის ლონისძიებათა შედეგად, რომელიც სათავეში ჩაუდგა მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის ბრძოლას, საბჭოების რესპუბლიკამ მოიგერია ინტერვენტებისა და შინაური კონტრრევოლუციის შემოტევა. საბჭოთა ხალხმა, როგორც ხალხური თქმულებების დევგმირმა, გაშალა თავისი მძლავრი მხრები, ხატიკად დაამარცხა კონტრრევოლუციის ძალები და მშობლიური მიწა-წყლიდან გარეკა ინტერვენტების ჯარები.

მთელი ხალხი იღებდა მონაწილეობას მტრებთან ბრძოლაში. ჩვენი პარტიის, ჩვენი ხალხის დიდმა ბელადმა ვ. ი. ლენინმა შეაიარაღა პარტია და ხალხი ნათელი იდეით, უჩვენა გზები მუშათა კლასს, ყველა მშრომელის ბრძოლისა თავისი თავისუფლებისათვის, უკაპიტალისტებოდ და უმემამულეებოდ ახალი ცხოვრების მშენებლობისათვის. მუშათა კლასმა, მთელმა ხალხმა დაუჭირა მხარი ლენინის იდეას, დაუჭირა მხარი ლენინურ მისწრაფებებს, გაჰყვა ჩვენს კომუნისტურ პარტიას მარქსიზმ-ლენინიზმის გზით. ამრიგად, თავისი თავისუფლებისათვის ბრძოლაში ჩვენი ხალხი წყვეტდა გზის არჩევის, თავისი სახელმწიფოებრივი წყობილების საკითხს.

მშვიდობიანი განვითარების პირობებში საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელები, რომლებიც თავიანთი ბედის სრულუფლებიანი ბატონ-პატრონები, ახალი ცხოვრების მშენებლები, ყველაზე დემოკრატიული საზოგადოების შემოქმედნი არიან, თავიანთი სახელმწიფოების კონსტიტუციების შესაბამისად ირჩევენ ხელისუფლების ორგანოებს თავიანთი ნების თავისუფალი გამოვლინების საფუძველზე. ხმას აძლევენ რა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების არჩევნების დროს თავიანთი ქვეყნების საუკეთესო შვილებს, მშრომელები უცხადებენ მათ დიდ ნდობას, აძლევენ განაწესს ერთგულად და თავდადებით ემსახურონ კომუნისტური მშენებლობის საქმეს.

და აი ახლა, როცა ჩვენი ხალხი იმკის საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ორმოცი წლის მანძილზე მოპოვებული თავისი გამარჯვებების ნაყოფს, ბატონ იმპერიალისტებს სურთ აიცდინონ იგი ამ ერთადერთ სწორ და ნაცად გზას. მაგრამ, ბატონებო, ახლა დროც სხვაა და სიმღერებიც სხვანაირია. (მ ხ ი ა რ უ ლ ი ტ ა შ ი).

სახელმწიფო წყობილების საკითხი, რომელიც უნდა იყოს ქვეყანაში ეს ამ ქვეყნის ხალხის საშინაო საქმეა. ცხადია, ეს სულაც არ არის ისეთი საკითხი, როგორც, მაგალითად, საკითხი „ცივი ომის“ ლიკვიდაციის ან გამალებული შეიარაღების შეწყვეტის შესახებ. თუ დასავლეთის სახელმწიფოების ზოგიერთ სახელმწიფო მოღვაწეს სურს განსახილველად დააყენოს საკითხი სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში სოციალისტური წყობილების შესახებ, მაშინ სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენლებს უფლება აქვთ თქვან: იქნებ მაშინ საჭიროა განხილულ იქნას ის საკითხიც, კიდევ დიდხანს იბატონებენ თუ არა იმპერიალისტები კაპიტალისტურ ქვეყნებში, დრო ხომ არ არის, რომ მათ ხელისუფლების სათავეში აღგილი დაუთმონ მშრომელებს? (ტ ა შ ი).

მაშ რატომ ფიქრობთ, ბ-ნო ეიზენჰაუერ და ბ-ნო დალეს, რომ თქვენ შეგიძლიათ დააყენოთ საკითხი სოციალისტური წყობილების შესახებ სახალხო დემოკრატიის ევროპულ ქვეყნებში, საბჭოთა კავშირში, მაგრამ არ გინდათ თანასწორი უფლებები მიანიჭოთ სხვა ქვეყნებს ასეთივე საკითხი დააყენონ კაპიტალისტური ქვეყნების მიმართ? მაგრამ ჩვენ არ ვაყენებთ და არც ვაპირებთ საერთაშორისო შეხვედრების დროს განსახილველად დავაყენოთ ამა თუ იმ ქვეყანაში სოციალური წყობილების საკითხი, ვინაიდან ამ საკითხს თვითეული ხალხი წყვეტს თავისი შეხედულებისამებრ. ჩვენ ვდგავართ ერთ სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში მეორე სახელმწიფოთა ჩაურევლობის პოზიციებზე.

და ჩვენ ვეუბნებით დასავლეთის სახელმწიფოების წარმომადგენლებს: მოდით განვახორციელოთ მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკა და ნუ ჩავერევით საშინაო საქმეებში. ერთ სახელმწიფოთა ჩარევა მეორე სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში, როგორც ისტორიის გამოცდილება გვასწავლის, გარდუვალად იწვევს კონფლიქტებს, სამხედრო შეტაკებებს. ისტორიის გამოცდილება აგრეთვე გვიჩვენებს, რომ იმპერიალისტების ცდები თავიანთი ნება მოეხვიათ კაპიტალისტური ჩაგვრისაგან განთავისუფლებული ხალხებისათვის, თავდებოდა იმპერიალისტების სამარცხვინო ჩავარდნით. (ტ ა შ ი).

ასეთია ჩვენი აზრი ამ საკითხზე.

ახლა გადავიდეთ გერმანიის საკითხზე. დასავლეთის ზოგიერთი სახელმწიფოს ხელმძღვანელ წრეებში, როგორც კი ლაპარაკი ჩამოვარდება იმის შესახებ, რომ სასურველია თათბირის მოწვევა მაღალ დონეზე, საჭიროდ თვლიან პირველ პლანზე წამოსწიონ ეგრეთწოდებული გერმანიის საკითხი და მოითხოვონ, რომ სწორედ ეს საკითხი განიხილოს საერთაშორისო თათბირმა. მაგრამ რას წარმოადგენს გერმანიის საკითხი დღევანდელი დღის პირობებში? უწინარეს ყოვლისა ეს არის საკითხი გერმანიის ტერიტორიაზე არსებული სხვადასხვა საზოგადოებრივი სისტემის მქონე ორი სუვერენული სახელმწიფოს ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. ეს არის პრობლემა ორივე ამ სახელმწიფოს კონტაქტისა, დაახლოებისა და ამა თუ იმ ფორმით გაერთიანებისა გერმანიის, როგორც ერთიანი, მშვიდობისმოყვარე, დემოკრატიული სახელმწიფოს ეროვნული ერთიანობის აღდგენის მიზნით.

საბჭოთა კავშირს არაერთხელ გამოუთქვამს თავისი თვალსაზრისი ამ საკითხზე, და განუცხადებია, რომ გერმანიის საკითხი შეიძლება გადაწყვიტოს მხოლოდ გერმანელმა ხალხმა. საბჭოთა კავშირი, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს იმას, რომ განხორციელდეს გერმანიის გაერთიანება. რა საწყისებზე უნდა წარმოებდეს ასეთი გაერთიანება? ვფიქრობ, რომ ამას თვით გერმანელები გადაწყვეტენ. როგორც ჩანს, ბ-ნი ადენაუერი არ მოინდომებს, რომ დასავლეთ გერმანიაში მეურნეობა გარდაიქმნას სოციალისტურ საწყისებზე, ჩანს აგრეთვე, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელები არ მოინდომებენ თავიანთი სოციალისტური მონაპოვრების ლიკვიდაციას და არ დათანხმდებიან კაპიტალიზმის რესტავრაციაზე. ამიტომ უნდა ვაღიაროთ ის ისტორიული ფაქტი, რომ გერმანიაში არსებობს ორი სახელმწიფო სხვადასხვა სოციალური წყობილებით: სოციალისტური გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა და კაპიტალისტური გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ წამოაყენა გონივრული წინადადება: გერმანიის ერთიანობის მშვიდობიანი აღდგენის ინტერესებისათვის პირველ ხანებში შეიქმნას გერმანიის კონფედერაცია, რომელიც იქნება ორი სუვერენული სახელმწიფოს სახელმწიფოებრივი გაერთიანება საგარეო და სხვა საკითხების გარკვეულ წრის დარგში საერთო პოლიტიკის განსახორციელებლად.

[illegible] გერმანიის საკითხზე საბჭოთა მთავრობის ყველა წინადადების [illegible] გერმანიის ორი სუვერენული სახელმწიფოს არსებობის თვით ფაქტს, ბ-ნი ეიზენჰაუერი თავის წერილში კვლავ მოითხოვს, „რომ ჩვენ ახლა ენერგიულად შევუდგეთ გერმანიის გაერთიანების განხორციელებას თავისუფალი არჩევნების საშუალებით, როგორც ჩვენ ამაზე შევთანხმდით“.

მაგრამ ხომ ცნობილია, რომ ასეთი შეთანხმება არასოდეს არ ყოფილა! ამაზე ფართოდ წერენ დასავლეთის ბურჟუაზიულ პრესაში, მათ შორის ამერიკულ გაზეთებში და ჟურნალებშიც. აი, კერძოდ, რას წერს ამერიკელი ისტორიკოსი ფ. შუმანი:

„ვერ გამიგია, რა მიზანი შეიძლება ჰქონდეს, გარდა საკითხის დაბნევისა, სარედაქციო სტატიებსა და ოფიციალურ განცხადებებში გერმანიის მიმართ საბჭოთა პოლიტიკის დამახინჯებას? რისთვის არის საჭირო განუწყვეტლივ ლაპარაკი, რომ რუსი ხელმძღვანელები ჟენევაში 1955 წელს დათანხმდნენ რაიხის გაერთიანებაზე, ხოლო შემდეგ უარი თქვეს თავიანთ ვალდებულებაზე? მაღალ დონეზე მოწყობილ ამ თათბირზე შეთანხმებული იქნა, რომ გერმანიის გაერთიანება უნდა განხორციელდეს თავისუფალი არჩევნების საფუძველზე გერმანელი ხალხის ეროვნული ინტერესების და ევროპის უშიშროების ინტერესების შესაბამისად.

ჟენევაში, ჟენევამდე დიდი ხნით ადრე და ჟენევის შემდეგაც კი ახსნით პოლიტიკურ განცხადებებში და დიპლომატიურ ნოტებში მოსკოვი [illegible] „ევროპის უშიშროება“ გერმანიის დემილიტარიზაციისა და ნეიტრალიზაციის გზებით“.

ჩვენ შეიძლება დავეთანხმოთ ან არ დავეთანხმოთ ასეთ განსაზღვრებას. მაგრამ, ვფიქრობ, რომ უსარგებლოა ბრალის დადება „არაგულწრფელობაში“.

[illegible]

თავის წერილში ბ-ნი ეიზენჰაუერი როგორც „ყველაზე დიდმნიშვნელოვან საკითხს, რომელიც დღეს მსოფლიოს წინაშე დგას“, აყენებს [illegible] კოსმოსური (საკონტინენტთაშორისო) სივრცის [illegible]

აი, თურმე, რა საკითხი აინტერესებთ მათ! [illegible]

მაგრამ ჩვენ გვეუბნებიან: [illegible]

[illegible] კის შეერთებულ შტატებს სურთ შიშში იყოლიონ მთელი მსოფლიო. მაშასადამე, მათ სურთ აკრძალონ ის, რაც მათ არა აქვთ, ხოლო თვითონ განაგრძონ შეიარაღება. არა, ბატონებო, ასე არ ხდება.

რა თქმა უნდა, არ შეიძლება უარვყოთ უდიდესი მნიშვნელობა საკითხისა კოსმოსური სივრცის გამოყენებაზე კონტროლის შესახებ, მაგრამ საჭიროა ამ საკითხს განვიხილავდეთ როგორც განიარაღების საერთო პრობლემის ნაწილს, მათ შორის აგრეთვე საკითხს ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვის შესახებ. მშვიდობის განმტკიცების ინტერესებისათვის, განიარაღების საკითხებზე შეთანხმების მიღწევაში საბჭოთა კავშირი მზად იქნებოდა განეხილა საკითხი საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტის შესახებაც, თუ დასავლეთის სახელმწიფოები დათანხმდებიან ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვაზე, მისი გამოცდის შეწყვეტაზე, იმ სამხედრო ბაზების ლიკვიდაციაზე, რომლებიც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გარშემოარტყეს საბჭოთა კავშირსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებს.

ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტურ წრეებს სურთ შეინარჩუნონ თავიანთი სამხედრო ბაზები, შექმნან სასტარტო მოედნები რაკეტების გასაშვებად ჩვენი მეზობელი ქვეყნების ტერიტორიებიდან და ამრიგად ყოველდღე გვემუქრებოდნენ ჩვენ, თან აცხადებდნენ, რომ მათ შეუძლიათ აღგავონ პირისაგან მიწისა საბჭოთა კავშირის ქალაქები. ეს ხომ ფაქტია — ჩვენ კი არ ვემუქრებით ამერიკის შეერთებულ შტატებს ჩვენი ბაზებით (ჩვენ საერთოდ არც ერთ ქვეყანაში არა გვაქვს ჩვენი სამხედრო ბაზები), არამედ დასავლეთის სახელმწიფოები ქმნიან მრავალ ასეთ ბაზას. მაგრამ ჩვენ ვამბობთ: თუ ამერიკის სამხედრო ბაზები განლაგებულია საბჭოთა კავშირის საზღვრების მახლობლად, მაშინ, პირიქით, საბჭოთა კავშირიც შორს არ არის ამ ბაზებიდან. და იმ შემთხვევაში, თუ აგრესორები დაიწყებენ სამხედრო მოქმედებას, საბჭოთა კავშირს აქვს უკვე დამუშავებული, სრულყოფილი იარაღი არა მარტო ამ ბაზების მოსასპობად, არამედ უფრო შორეულ ობიექტებზე საპასუხო გამანადგურებელი დარტყმისთვისაც.

ასე რომ მოდით ნუ დავიწყებთ ერთმანეთის შეშინებას, არამედ გამოვიჩინოთ საღი გონება და ურთიერთ მისაღებ საფუძველზე შევთანხმდეთ „ცივი ომის“ მდგომარეობის ლიკვიდაციის, გამალებული შეიარაღების შეწყვეტის შესახებ, სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პირობების შექმნის შესახებ მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის. (ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ი ტ ა შ ი).

მინდა ვთქვა რამდენიმე სიტყვა ბ-ნ ეიზენჰაუერის იმ მტკიცებებთან დაკავშირებით, თითქოს საბჭოთა მთავრობასთან ძნელია შეთანხმება, ვინაიდან იგი შედგება ათეისტებისაგან, უღმერთოებისაგან, ხოლო დასავლეთის სახელმწიფოების მთავრობები თითქოს ხელმძღვანელობენ რელიგიურ საფუძველზე დამყარებული მორალით. ამიტომ, როგორ უნდა ვაწარმოოთ მოლაპარაკება ასეთ მთავრობასთან, თუ მას ღვთის მორალი არ ამოქმედებსო.

ბატონი ეიზენჰაუერი ამტკიცებს, რომ „მომავალი ეკუთვნის არა რეგლამენტირებული უღმერთო სახელმწიფოს იდეას, არამედ ადამიანებს — მთელი მსოფლიოს ღვთისმოშიშ, მშვიდობისმოყვარე ადამიანებს“.

როგორც ჩანს, ბ-ნ პრეზიდენტს სურს როგორღაც სახელი გაგვიტეხოს საზოგადოებრივი აზრის წინაშე, სურს ხაზგასმით აღნიშნოს, რომ საბჭოთა ხელმძღვანელებთან შეუძლებელია შეთანხმება იმიტომ, რომ მათ ღმერთი არა სწამთ. იგი თითქოს ამბობს, რომ მთავრობა, რომელიც ათეისტურ თვალსაზრისს ადგას, ბოროტებას სჩადის, ხოლო მთავრობა, რომელსაც ღმერთი სწამს, თითქოს სჩადის სიკეთეს.

თვითონ ბ-ნმა ეიზენჰაუერმა კარგად იცის, რომ ეს ჭეშმარიტებას არ შეეფერება. მინდა ყურადღება მივაპყრო ფაქტებს, ხოლო ფაქტები მოწმობენ შემდეგს:

ადამიანებმა, რომლებიც ამბობენ, რომ მათ ღმერთი სწამთ, და თითქოს ღვთის პრინციპებით ხელმძღვანელობენ, აგრესიული ომი დაიწყეს ეგვიპტის წინააღმდეგ. ომი დაიწყეს არა უღმერთოებმა, არა საბჭოთა მთავრობამ, არამედ ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ბ-ნმა იდენმა და საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა გი მოლემ ჯვრის წინ ლოცვის შემდეგ ინგლისისა და საფრანგეთის ჯარებს მისცეს ბრძანება დაებომბათ კაირო, დაეხოცათ მშვიდობიანი ადამიანები, ქალები, მოხუცები, ბავშვები.

ამავე დროს საბჭოთა კავშირმა, რომლის ხელმძღვანელები ათეისტები არიან, სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოებთან ერთად უდიდესი ძალღონე მოახმარეს ამ ომის შეწყვეტას. და, როგორც ყველამ იცის, საბჭოთა კავშირის წვლილი ამ საქმეში უდიდესი იყო. მაშასადამე, ადამიანებმა, რომლებიც თავიანთ თავს ღვთის მორწმუნეებად თვლიან და აცხადებენ, რომ ისინი ღვთისსამადლო საქმეებს აკეთებენ, დაიწყეს ომი, ხოლო საბჭოთა მთავრობამ, რომელიც ათეისტებისაგან შედგება, ყველა ძალღონე იხმარა, რომ ეს ომი შეეჩერებინა. საკითხავია: მაშ ვისი მორალი უფრო ძლიერია, ვისი მორალი უფრო ჰუმანურია?

შემდეგ. ზოგიერთი მთავრობის ხელმძღვანელები, რომლებიც განუწყვეტლივ შეღაღადებენ ღმერთს, გაძლიერებით უბიძგებდნენ თურქეთს სირიის წინააღმდეგ აგრესიული ომის გასაჩაღებლად. ამ რაიონში უნდა გაჩაღებულიყო ახალი სისხლისმღვრელი ომი. საბჭოთა კავშირმა გააკეთა ყველაფერი, რაც მასზე იყო დამოკიდებული, რომ ეს ომი არ დაწყებულიყო. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ეს საბჭოთა კავშირის, საბჭოთა მთავრობის დიდი დამსახურებაა.

ადამიანთა სარწმუნოებისა და კანის ფერისაგან დამოუკიდებლად, საბჭოთა ხალხი ხელმძღვანელობს მშვიდობის განმტკიცების ინტერესებით.

ან აიღეთ ასეთი საკითხი: მთავრობები, რომელთა სათავეში დგანან ადამიანები, რომლებიც აცხადებენ, რომ მათ ღმერთი სწამთ, ამჟამად განაგრძობენ სისხლისმღვრელ ომს ალჟირში. ამ მთავრობათა ჯარებში, რომლებიც შედგებიან ღვთის „მორწმუნე“ ადამიანებისაგან, არიან მღვდლებიც, რომლებიც აკურთხებენ ადამიანთა მკვლელობას და პარაკლისებს იხდიან იმ იარაღის გამარჯვებისათვის, რომლითაც უმწეო არაბებს ხოცავენ ალჟირში.

აი, ბატონებო, თქვენი ღვთისმორწმუნეობა!

სხვა მთავრობები, რომლებიც აგრეთვე მორწმუნეებისაგან შედგებიან, აცხადებენ; რომ ისინი ხელმძღვანელობენ ღვთის პრინციპით, მაგრამ საქმით არაფერს არ აკეთებენ ადამიანთა ასეთი მოსპობის შესაწყვეტად. მაგალითად, ზოგიერთი „მორწმუნე“ მთავრობა, ეფარება რა ჯვარს, ეფარება რა ღვთის რწმენას, ხოცავს ადამიანებს. განა ეს სამართლიანია? ინგლისის თვითმფრინავები ბომბავენ იემენის პატარა სახელმწიფოს სოფლებს, ხოცავენ ბავშვებსა და მოხუცებს და ეს არ ითვლება რელიგიური მორალის დარღვევად იმიტომ, რომ ბომბებისაგან იღუპებიან ადამიანები, რომლებსაც მუქი ფერის კანი აქვთ.

იქნებ, ბ-ნი პრეზიდენტი გაიხსენებს იმას, რომ ადამიანებმა, რომლებიც აცხადებენ მორწმუნეები ვართო, ყველაფერი გააკეთეს გვატემალაში მათთვის არასასურველი მთავრობის შესაცვლელად და მათთვის არასასურველი პრეზიდენტის განდევნისათვის, მოაწყეს იქ ინტერვენცია ერთი მუჭა მონოპოლისტების მოგების გულისათვის. და ყოველივე ამას ფარავდნენ იმით, რომ ეს კეთდება უფალი ღმერთის რწმენის განმტკიცებისათვის.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, ბ-ნო პრეზიდენტო, ისეთი მდგომარეობა, რომ საბჭოთა კავშირის ათეისტური მთავრობა მოითხოვს ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვას, ხოლო სახელმწიფო მოღვაწეები, რომლებიც თავიანთ მოწოდებებს იწყებენ და ამთავრებენ ღმერთისადმი მიმართვით, სურთ შეინარჩუნონ სიკვდილის მთესველი იარაღი, ამასთან მიმართავენ ყოველგვარ ხრიკებს, რომ ხელი შეუშალონ შეთანხმების მიღწევას ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვის შესახებ. ღმერთი მართლა რომ არსებობდეს, განა ის არ დაგმობდა ამ მოღვაწეებს, რომლებიც მის სახელს ეფარებიან?!

ხოლო ვისი ბრძანებით იყო ჩამოყრილი პირველი ატომური ბომბები ხიროსიმასა და ნაგასაკიში, რამაც ათასობით და ათასობით ადამიანების, მათ შორის უმწეო ქალების, მოხუცებისა და ბავშვების დაღუპვა გამოიწვია? ადამიანს, რომელმაც ეს ბრძანება გასცა, როგორც ცნობილია, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პოსტი ეკავა. ბ-ნი ტრუმენი თავის თავს მორწმუნე ადამიანად თვლის, იგი თავის ყოველ გამოსვლას ამთავრებდა ღვთისადმი მოწოდებით, წარმოთქვამდა სიტყვებს მშვიდობისმოყვარეობაზე, ჰუმანურობასა და ძმობაზე. მაგრამ თქვენ, ბ-ნო პრეზიდენტო, არსად არ გამოგითქვამთ, რომ გმობთ ბ-ნ ტრუმენის ესოდენ სასტიკ მოქმედებას.

თქვენთვის, ბ-ნო პრეზიდენტო, როგორც ყოველი უწინასწარმეტყველო ადამიანისათვის, სავსებით ნათელია, რომ საბჭოთა მთავრობა ყოველთვის წმიდად ასრულებდა და ასრულებს თავის ვალდებულებებს. თქვენთვის ცნობილია აგრეთვე ისიც, რომ ბევრი მოღვაწე, აცხადებს რა, რომ სწამს ღმერთი, ხშირად სწორედ სულ სხვა რამეს აკეთებს. გაიხსენეთ, როგორ დაარღვია ზოგიერთმა მთავრობამ თავისი ვალდებულებანი ვიეტნამში თავისუფალი არჩევნების მოწყობის შესახებ. და განა ცოტა შეიძლება სხვა მაგალითების მოყვანა! ასე რომ მოდით, ბ-ნო ეიზენჰაუერ, ნუ შევეხებით რელიგიის საკითხებს, ადამიანთა სარწმუნოების საკითხებს.

ჩვენ მომხრენი ვართ ადამიანთა რელიგიური რწმენის თავისუფლებისა და თვითეული ადამიანის, თვითეული ხალხის რელიგიურ შეხედულებათა პატივისცემისა. მაგრამ ამასთან იმის მომხრენი ვართ, რომ არავის არ შეეძლოს, რელიგიურ რწმენას ამოფარებით ხოცოს ადამიანები, არ შეეძლოს ღვთის რწმენა გამოიყენოს სხვა ხალხების საზიანოდ. მოდით ამ საკითხებს ნუ გავხდით დავის საგნად.

ამხანაგებო! საბჭოთა მთავრობის წინადადებათა პასუხად მიღებულია წერილები ინგლისის პრემიერ-მინისტრის ბ-ნ მაკმილანისაგან, საფრანგეთის პრემიერ-მინისტრის ბ-ნ გაიარისაგან, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერის ბ-ნ ადენაუერისაგან და მთელი რიგი სხვა სახელმწიფოების მთავრობათა მეთაურებისაგან.

ბ-ნმა მაკმილანმა განაცხადა, რომ იგი ეთანხმება საბჭოთა მთავრობის აზრს საბჭოთა კავშირისა და დასავლეთის სახელმწიფოების სახელმწიფო მოღვაწეთა შორის პირადი კონტაქტების სარგებლობის შესახებ. იგი წერს:

„თქვენ აცხადებთ, რომ პირადი კონტაქტები საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწეებსა და დასავლეთის სახელმწიფო მოღვაწეებს შორის, თქვენი აზრით, მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს ურთიერთგაგების მიღწევას. მე ვეთანხმები იმას, რომ ასეთი შეხვედრები გარკვეულ როლს ასრულებენ იმ მოწესრიგების მიღწევაში, რომელიც ჩვენ ყველას გვსურს“.

ინგლისის პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობის წინადადებას მაღალ დონეზე თათბირის მოწვევის შესახებ ინგლისის მთავრობა სწავლობს და პასუხს შემდეგ გამოგზავნის.

ჩვენ იმედს გამოვთქვამთ, რომ ინგლისის მთავრობა ბოლოს მივა იმ დასკვნამდე, რომ ყველაზე გადაუდებელი საერთაშორისო პრობლემების მოწესრიგებისათვის უწინარეს ყოვლისა საჭიროა თათბირის მოწვევა უაღრესად მაღალ დონეზე.

ცნობილია, რომ ბ-ნმა მაკმილანმა წამოაყენა წინადადება ნატოში შემავალ ქვეყნებსა და ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნებს შორის პაქტის დადების შესახებ.

საბჭოთა მთავრობა დადებითად მოეკიდა ბ-ნ მაკმილანის განცხადებას სათანადო ქვეყნებს შორის თავდაუსხმელობის პაქტის დადების შესახებ.

სამწუხაროდ, შემდეგში, როგორც ჩანს, რაღაც ძალების გავლენით ბ-ნმა მაკმილანმა რამდენადმე გადაუხვია თავის პირვანდელ წინადადებას. ამასთან დაკავშირებით ისმება კითხვა — ზოგიერთ წრეებში ხომ არ ეშინიათ თავდაუსხმელობის პაქტის თვით იდეისა, რომლის დადებასაც თანმიმდევრულად მოითხოვდა და მოითხოვს საბჭოთა კავშირი, იდეისა, რომელიც სულ უფრო მეტ მხარდაჭერას პოულობს ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხისა და ზოგიერთი სახელმწიფოს მთავრობების მხრივ.

ბ-ნი მაკმილანი იცავს ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის არსებობას და დასავლეთის სახელმწიფოთა ახლანდელ საგარეო პოლიტიკას, ამასთან ცდილობს განიარაღების შესახებ მოლაპარაკების ჩაშლისათვის პასუხისმგებლობა დააკისროს საბჭოთა კავშირს. დუმილით უვლის რა გვერდს საბჭოთა კავშირის მიერ წამოყენებულ კონკრეტულ გეგმას განიარაღების დარგში და, კერძოდ, ატომგულის გამოცდის შეწყვეტისა და ატომგულის იარაღის აკრძალვის გეგმას, როგორც პირველ ნაბიჯს განიარაღების გზაზე, ბ-ნი მაკმილანი განიარაღების შესახებ მოლაპარაკების საფუძვლად კვლავ პირველ პლანზე აყენებს დასავლეთის სახელმწიფოების გეგმას, რომელიც ჩვენ უკვე უარვყავით. იგი არსებითად უარყოფითად ეკიდება წინადადებას ევროპაში ატომური და წყალბადის იარაღისაგან თავისუფალი ზონის შექმნის შესახებ.

ბ-ნ მაკმილანის წერილში არ არის პასუხი მთელ რიგ საკითხებზე, რომლებიც წამოყენებულია საბჭოთა მთავრობის 10 დეკემბრის წერილში, კერძოდ, არაფერია ნათქვამი იმ საბჭოთა წინადადებების გამო, რომლებიც ეხება შორეულ და შუა აღმოსავლეთს, გერმანიაში უცხოეთის შეიარაღებული ძალების რიცხვის შემცირებას, პრესაში და რადიოთი ომის პროპაგანდის შეწყვეტას, პროპაგანდისა, რაც იწვევს ურთიერთ უნდობლობისა და ეჭვიანობის გრძნობებს.

საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი ბ-ნი გაიარი თავის საპასუხო წერილში გამოთქვამს აზრს იმ კონკრეტულ წინადადებათა წინააღმდეგ, რომლებიც საბჭოთა მთავრობამ წამოაყენა საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის. არ ეთანხმება რა საბჭოთა წინადადებებს ატომგულის იარაღის გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ, ამას იგი იმით ასაბუთებს, რომ ასეთი ღონისძიება ხელს ვერ შეუწყობს ომის საფრთხის შემცირებას, არამედ, პირიქით, უფრო გააძლიერებს მას. ზოგიერთი სახელმწიფოს ხელში ატომგულის იარაღის არსებობას თითქოს თავისთავად შეუძლია ყოველგვარი აგრესიის შეჩერება.

საეჭვოა, რომ ასეთ მტკიცებას დაეთანხმონ უბრალო ადამიანები, რომლებსაც სურთ მშვიდობიანი ცხოვრება და იბრძვიან ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ. მართლაც, განა შეიძლება მშვიდობიანად ცხოვრობდე ისეთ პირობებში, როცა ყოველდღე და ყოველ საათს თავს დაგტრიალებენ ბომბდამშენები ატომური და წყალბადის ბომბებით. ეს განა არ მოგვაგონებს სიკვდილმისჯილი კაცის მდგომარეობას, რომლის თავს ზევით ჰილიოტინის დანა ჰკიდია. და ეს ადამიანი უნდა იწვეს და ელოდეს, როდის დაეშვება ეს დანა და მოჰკვეთს თავს. ეს საშინელი მდგომარეობაა. სახელმწიფო მოღვაწეებმა, განსაკუთრებით დიდი სახელმწიფოების მოღვაწეებმა, რომლებზეც დამოკიდებულია ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვის საკითხის გადაწყვეტა, უნდა იზრუნონ ამ პრობლემის უსწრაფესი გადაჭრისათვის, რათა კაცობრიობას აცილონ საშინელი საფრთხე, გაათავისუფლონ კაცობრიობა ამ ტვირთისაგან.

ბ-ნი გაიარი საეჭვოდ ხდის ევროპის ცენტრში უატომო ზონის შექმნის წინადადების ეფექტიანობას იმ საფუძველზე, რომ იგი თითქოს უგულებელყოფს ევროპის პრობლემის პოლიტიკურ ასპექტს.

უარყოფილია აგრეთვე საბჭოთა წინადადება ნატოს ქვეყნებსა და ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნებს შორის თავდაუსხმელობის პაქტის დადების შესახებ.

მაგრამ ბ-ნ გაიარის წერილის ბოლოში გამოთქმულია აზრები, რომლებსაც არ შეიძლება არ დავეთანხმოთ. კერძოდ, აღნიშნულია, რომ ჩვენი მთავრობები თავიანთ მოქმედებაში უნდა ხელმძღვანელობდნენ ურთიერთგაგებისა და ლოიალობის სულისკვეთებით, რომ „შეთანხმებებს, რომლებიც ხელს უწყობენ კონკრეტული პრობლემების თუნდაც ნაწილობრივ მოწესრიგებას... უნდა ახლდეს საზეიმო დადასტურება მოლაპარაკების მონაწილე სახელმწიფოთა მტკიცე ნებისა, რომ არასოდეს არ მიმართავენ აგრესიას“.

წერილში გამოთქმულია მზადყოფნა „შესწავლილ იქნას ჩვენი გამთიშველი პრობლემების ახალი განხილვის გზები“ განიარაღების დარგში, აგრეთვე „განახლდეს დისკუსია ევროპის კონკრეტულ პრობლემებზე“, მათ შორის საბჭოთა მთავრობის მიერ წამოყენებული პროექტების მიხედვით.

ეთანხმება რა მთავრობათა მეთაურების თათბირის მოწყობის პრინციპს, ბ-ნი გაიარი ამას განაპირობებს საგარეო საქმეთა მინისტრების წინასწარი თათბირის მოწყობით, რათა სათანადოდ დაზუსტდეს პროგრამა შესაძლებელი თათბირისა უფრო მაღალ დონეზე, ამასთან შენიშნავს, რომ საგარეო საქმეთა მინისტრების ამოცანას არ უნდა შეადგენდეს საკითხების არსებითად განხილვა.

საფრანგეთის მთავრობის ეს პოზიცია განსხვავდება პოზიციისაგან, რასაც იცავს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა, რომელიც, როგორც ცნობილია, მოითხოვს საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის მოწვევას საერთაშორისო საკითხების არსებითად განხილვისათვის.

არ შეიძლება არ შევეხოთ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის პოზიციას. გამოვიდა რა 15 იანვარს რადიოთი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერმა ბ-ნმა ადენაუერმა საბჭოთა მთავრობის წერილები დაახასიათა როგორც გულდასმით მომზადებული მანევრი, რომელშიც არ არის ურთიერთგაგების მიღწევის სერიოზული ცდა. მან გააკეთა დაუსაბუთებელი განცხადება, თითქოს „საბჭოები ახლა უწინარეს ყოვლისა ისწრაფვიან არევდარევა დათესონ მსოფლიოში“. ბ-ნ ადენაუერის სინდისზე იყოს ასეთი უნიადაგო მტკიცება.

თათბირის მოწვევა, ამბობს ბ-ნი ადენაუერი, არაფერს არ მოგვცემს, რადგან, თუ იგი წარმატებით არ დაგვირგვინდა, მდგომარეობის მხოლოდ უფრო მეტ გამწვავებას გამოიწვევს. მიუხედავად ამისა, უნდა დავეთანხმოთ წინადადებას თათბირის მოწვევის შესახებ იმ შენიშვნით, რომ საჭირო არ არის მეტისმეტად ბევრი მონაწილის მოწვევა და რომ გულმოდგინე დიპლომატიური მომზადების გზით უნდა დავადგინოთ, რომ არსებობს ურთიერთგაგების მიღწევის შესაძლებლობები.

ბ-ნი ადენაუერი ილაშქრებს აგრეთვე იმის წინააღმდეგ, რომ ცენტრალურ ევროპაში შეიქმნას ატომური იარაღისაგან თავისუფალი ზონა.

თავის ოფიციალურ პასუხში საბჭოთა მთავრობის წერილზე ბ-ნი ადენაუერი არასწორად გადმოსცემს საბჭოთა მთავრობის პოზიციას გერმანიის გაერთიანების საკითხში. იგი ამტკიცებს, რომ ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირზე თითქოს მიღწეული იყო შეთანხმება გერმანიის გაერთიანების საკითხზე. მე უკვე ვთქვი, რომ ასეთი მტკიცება არ შეესაბამება სინამდვილეს და ეწინააღმდეგება ფაქტებს.

პოზიციამ, რომელიც ბ-ნ ადენაუერის მთავრობამ დაიკავა, გამოიწვია იმედგაცრუება და დაგმობა არა მარტო საერთაშორისო საზოგადოებრიობაში, არამედ თვით დასავლეთ გერმანიაშიც. სოციალ-დემოკრატიული პარტიის ფრაქციამ ბუნდესტაგში განაცხადა, რომ ბ-ნ ადენაუერის საპასუხო წერილი „ხელს არ უწყობს საერთოდ რაიმე პროგრესს განიარაღების საკითხში, აგრეთვე გაერთიანების საქმეში, რადგან იგი სჯერდება მხოლოდ იმას, რომ ან უარყოფს ბრალდებებს, ან იმეორებს ცნობილ საყვედურებს მოსკოვის მიმართ. უარყოფილია განიარაღების საქმის წინწაწევის კონკრეტული შესაძლებლობები“. თავისუფალი დემოკრატიული პარტიის ფრაქცია ბუნდესტაგში აგრეთვე გმობს იმ ფაქტს, რომ „ფედერალური მთავრობა კატეგორიულად უარყოფს ევროპაში ატომური იარაღისაგან თავისუფალი ზონის შექმნის იდეას“.

ამხანაგებო! საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ სავსებით მომწიფდა საჭიროება მოწვეულ იქნას მაღალ დონეზე ხელმძღვანელ სახელმწიფო მოღვაწეთა თათბირი მთავრობათა მეთაურების მონაწილეობით. ჩვენ მზად ვართ ყოველ დროს მივიღოთ მონაწილეობა ასეთ თათბირში.

არის თუ არა ამჟამად ისეთი სავსებით გარკვეული საერთაშორისო საკითხები, რომლებიც მოითხოვენ გ ა დ ა უ დ ე ბ ე ლ გადაჭრას და რომლებიც შეიძლება გადაიჭრას დღესვე? პასუხი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი: დიახ, ასეთი საკითხები არის და არც თუ ცოტა.

განა სახელმწიფო მოღვაწეები, რომლებიც თუნდაც რამდენადმე შეშფოთებული არიან ხალხთა ბედით, შეიძლება პასიური დარჩნენ და შეურიგდნენ საქმის ახლანდელ მდგომარეობას, როცა თოვლის ზვავივით მზარდი შეჯიბრება იარაღის წარმოების დარგში, რომელიც სულ უფრო მძლავრი ხდება თავისი მომსპობი ძალით, ქმნის სამხედრო კატასტროფის საფრთხეს?

განა შეიძლება შევურიგდეთ იმას, რომ „ცივი ომის“ ატმოსფერო ამ საფრთხეს სულ უფრო ახლობელსა და რეალურს ხდის?

საბჭოთა მთავრობამ უკვე ოფიციალურად აცნობა ყველა სახელმწიფოს თავისი თვალსაზრისი იმ საკითხებზე, რომლებიც პირველ რიგში უნდა იქნას განხილული. დავასახელებ ზოგიერთ მათგანს.

რა უშლის ხელს იმას, რომ მიღწეულ იქნას შეთანხმება ა ტ ო მ უ რ ი და წ ყ ა ლ ბ ა დ ი ს ი ა რ ა ღ ი ს გ ა მ ო ც დ ი ს დ ა უ ყ ო ვ ნ ე ბ ლ ი ვ შ ე წ ყ ვ ე ტ ი ს შესახებ, რომ ამრიგად ბოლო მოეღოს ექსპერიმენტულ აფეთქებათა მავნე გავლენას ადამიანთა ჯანმრთელობაზე? განა არ მომწიფდა ამ საკითხის უაღრესად სასწრაფოდ განხილვა? დიდი ხანია მომწიფდა!

განა დრო არ არის, ბოლოს და ბოლოს, შევთანხმდეთ ე გ რ ე თ წ ო დ ე ბ უ ლ ი „ც ი ვ ი ო მ ი ს“ შ ე წ ყ ვ ე ტ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ? მსოფლიო ხომ ათ წელზე მეტი ხანია ცხოვრობს „ცივი ომის“ ვითარებაში, რომელიც ცეცხლებას გვრის ხალხებს. მის ნიადაგზე მშვიდობის მტრები სისტემატურად ნერგავენ ხალხთა შორის მტრობასა და სიძულვილს, აღვივებენ ომის ფსიქოზს. „ცივი ომი“ და გამალებული შეიარაღება, რომელსაც მსოფლიო სულ უფრო დაქანებული გზით მიჰყავს ატომური ომისაკენ, ისეთი მოვლენებია, რომლებიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან. ხომ არ არის დრო ბოლო მოეღოს „ცივ ომს“? დიდი ხანია დროა!

(დასასრული მე-4 გვერდზე)

# საერთაშორისო მდგომარეობის ზოგიერთი საკითხის შესახებ

## ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლა ბელორუსიის სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირზე 1958 წლის 22 იანვარს

(დასასრული)

იგივე უნდა ითქვას ომის პროპაგანდის შეწყვეტის შესახებ, რომელიც დასავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში დღითიდღე წარმოებს და სულ უფრო ალვირახსნილ ხასიათს იღებს. ვის შეუძლია უარყოს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში არიან როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო ადამიანები,

…

ლის იარაღისაგან თავისუფალი ზონის შექმნა, რომელშიც იქნებიან ისეთი სახელმწიფოები, როგორიც არის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა. როგორც ცნობილია, ამ სახელმწიფოებიდან სამმა უკვე განაცხადა, რომ თანახმაა შეიქმნას ასეთი ზონა. საჭირო არ არის იმის მტკიცება, თუ რა განსაკუთრებული მნიშვნელობა და სარგებლობა აქვს მშვიდობის საქმისათვის პოლონეთის მთავრობის მიერ წამოყენებული ამ წინადადების განხორციელებას.

ზოგიერთი უცხოელი მოღვაწე აცხადებს, რომ ევროპაში ატომური და წყალბადის იარაღისაგან თავისუფალი ზონის შექმნის საკითხის გადაჭრისას საჭიროა შესაბამისი კონტროლი. საბჭოთა კავშირი მზად არის განიხილოს ეს წინადადება და დათანხმდეს საჭირო კონტროლის დაწესებაზე.

გადაუდებელია ახლო და შუა აღმოსავლეთის მდგომარეობის საკითხი. უკანასკნელ წლებში ჩვენ ყველანი არაერთხელ ვიყავით იმის მოწმენი, რომ ამ რაიონის ხან ერთ, ხან მეორე პუნქტში ჩნდებოდა ომის საშიში კერები, რომლებიც ქმნიდნენ ომის უფსკრულში მთელი კაცობრიობის გადაჩეხის საფრთხეს. სწორედ ამიტომ მიგვაჩნია, რომ დიდ სახელმწიფოთა მოვალეობაა რაც შეიძლება მალე შეთანხმდნენ

…

და უარი თქვან ძალის გამოყენებაზე ახლო და შუა აღმოსავლეთის საკითხების გადაჭრაში და ჩარევაზე ამ რაიონის ქვეყნების საქმეებში.

ბოლოს, ვის შეუძლია უარყოს, რომ საჭიროა ბოლო მოეღოს ისეთ მახინჯ მოვლენებს საერთაშორისო ეკონომიური ურთიერთობის და-

…

ყიდვას. საქმე ეხება სხვას — ქვეყნებს შორის ნორმალურ ვაჭრობას.

მაშ რისთვის არის საჭირო ამგვარი შეზღუდვები და დისკრიმინაცია საერთაშორისო ვაჭრობაში? ისინი საჭიროა იმისათვის, რომ მსოფლიო იყოლიონ დაძაბულობის მდგომარეობაში, რომ, როგორც იტყვიან, წყალი აამღვრიონ და თევზი დაიჭირონ მღვრიე წყალში. ცხადია, ამ შემთხვევაში დასავლეთის სახელმწიფოთა მმართველი წრეები ხელმძღვანელობენ არა საქმიანი, არამედ სულ სხვა მოსაზრებებით.

მე მაგალითისათვის დავასახელე მხოლოდ რამდენიმე საკითხი, რომლებიც, ჩვენი აზრით, შეიძლება მივიჩნიოთ მზა საკითხებად დაუყოვნებლივ განხილვისათვის სახელმწიფოთა ხელმძღვანელების თათბირზე. ჩვენ არ გამოვრიცხავთ აგრეთვე სხვა დიდმნიშვნელოვან საკითხებს, რომლებიც შეიძლება განხილულ იქნას მაღალ დონეზე სახელმწიფო მოღვაწეთა შეხვედრისას და ამ საკითხებზე მიღწეულ იქნას გარკვეული დადებითი შედეგები.

თავისთავად იგულისხმება, რომ, თუ ორივე მხარის სურვილი იქნა, შეიძლება შეთანხმება ბევრ საკითხში. მაგრამ იმისათვის, რომ მაღალ დონეზე თათბირმა დადებით შედეგებს მიაღწიოს, უნდა ვაღიაროთ სტატუს-კვო, ვაღიაროთ, რომ მსოფლიოში არსებობს სახელმწიფოთა ორი სისტემა — კაპიტა-

…

როთ მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი, არ ჩავერიოთ სხვა სახელმწიფოთა საქმეებში. თუ ყველაფერი ეს აღიარებულ იქნა და დასავლეთის ქვეყნების მმართველი წრეები არ ეცდებიან საერთაშორისო საკითხები გადაჭრან სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ ომის

…

ნდობის დამყარება სახელმწიფოთა ურთიერთობაში, განიხილოს ეს საკითხები პარტნიორებთან. კერძოდ, ბ-ნმა ეიზენჰაუერმა ამას წინათ ერთ-ერთ თავის გამოსვლაში წამოაყენა იდეა, რომ საჭიროა საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ღონისძიებათა გაერთიანება კაცობრიობის ისეთი მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად, როგორიც არის კიბო, ტუბერკულოზი და მალარია. ჩვენ მიგვაჩნია, რომ შეიძლება დავეთანხმოთ ამას. შეიძლება დავასახელოთ მრავალი სხვა საკითხი, როგორც, მაგალითად, ბრძოლა პოლიომიელიტის, კალიის, ქოთაოს, თურქულის წინააღმდეგ. ჩვენ წარმატებით ვთანამშრომლობთ ირანთან და ავღანეთთან კალიის წინააღმდეგ ბრძოლაში. განა ცოტაა ისეთი საკითხები, რომლებშიც ჩვენ არა თუ ხელს არ ვუშლით თანამშრომლობას, არამედ ყოველი ღონისძიებით ვცდილობთ გავაფართოოთ ეს თანამშრომლობა. თუმცა ყველა ეს პრობლემა ამჟამად ჩვენი ქვეყნისათვის არ არის მწვავე და საშიში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ მზად ვართ ვითანამშრომლოთ იმ ქვეყნებთან, რომლებშიც ასეთი პრობლემები განსაკუთრებით აქტუალურია. ჩვენ სიამოვნებით გავაერთიანებთ ჩვენს ღონისძიებებს სხვა ქვეყნების ღონისძიებებთან ამგვარი პრობლემების გადაჭრაში.

მაგრამ სწორად გამიგეთ, ბ-ნო პრეზი-

…

დი მოელის თანხმობას დიდ ქვეყნებს შორის. ყველა ქვეყნის ადამიანები იმედით და შეშფოთებით ადევნებენ თვალყურს სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის ძირეული საკითხების გადაჭრას. ისინი მოელიან უწინარეს ყოვლისა საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას,

…

# უფრო ახლოს ხალხის ცხოვრებასთან

★

**ო. ნიმსაძე,**

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის კალინინის სახელობის რაიკომის პირველი მდივანი.

★

თბილისის კალინინის რაიონის პარტიულ კონფერენციაზე შემოქმედებით ორგანიზაციებში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის საკითხებს განსაკუთრებული ადგილი დაეთმო. ეს ბუნებრივიც არის. ამ რაიონში რესპუბლიკის წამყვანი შემოქმედებითი ორგანიზაციები — მწერალთა, კომპოზიტორთა და მხატვართა კავშირები, ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის, რუსთაველის სახელობის და გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატ-

…

ეს ნაკლოვანებები, რა თქმა უნდა, უფრო მცირე იქნებოდა, შემოქმედებითს ორგანიზაციებში მაღალ დონეზე რომ იდგეს პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა, პირველადი პარტიული ორგანიზაციები, პარტიის რაიკომი უფრო ახლოს რომ იდგნენ ხელოვნებისა და ლიტერატურის

…

მინარი … რომელიც … წაყრუ … შაობს. პარტიული ორგანიზაცია ნაკლებ ყურადღებას აქცევს კრებებზე მიღებულ დადგენილებათა შესრულებას, რის გამო საორგანიზაციო შემოქმედებითი გეგმები განუხორციელებელი რჩება, სუსტად მუშაობენ სექციები.

რუსთაველის სახელობის თეატრის კოლექტივი ნაყოფიერ შემოქმედებითი ძალაა, რასაც მაყურებელი სამართლიანად უფასებს

…

ტორთა კავშირების, აგრეთვე თეატრების პარტიული ორგანიზაციების მუშაობა.

მხატვართა კავშირის პარტიულ ორგანიზაციაში კვლავ სუსტად დგას პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა. თეორიული სე-

…

რიოზული შემოქმედებითი ანგარიშია.

ეს მითითება მუდამ უნდა ახსოვდეთ ჩვენს შემოქმედებითს ორგანიზაციებს, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებს.



სურათზე: სოხუმის თამბაქოს საფერმენტაციო ქარხნის აგიტპუნქტში აგიტატორი ა. მელნიკოვა (მარჯვნივ) ესაუბრება მუშებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მომავალი არჩევნების შესახებ.

ფოტო ს. კოროტკოვისა.

# თბილისის მრეწველობის მძლავრი აღმავლობისათვის

★

**გ. გეგეშიძე,**

საქართველოს კპ თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი.

★

ახორციელებს რა სკკპ XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, საბჭოთა ხალხი პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით ახალ დიდ წარმატებებს აღწევს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში და მტკიცედ მიდის წინ კომუნიზმის მშე-

…

მეტად გაიზარდა. გამოშვებულია ბევრი ახალი სახეობის პროდუქცია, გაფართოებულია სახალხო

…

ნებისა და წარმოების შემდგომი ზრდისათვის.

ერთ-ერთი მოწინავეა ი. ბ. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის პარტიული ორგანიზაცია. ქარხნის კომუნისტები დაუცხრომლად იბრძვიან წარმოების ტემპების ზრდისათვის, საწარმოო დავალებათა სისტემატურად გადა-

…



ახალი ჩარხის (მოდელი 163) აწყობა თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანაში.

## საქართველოს კომუნისტური პარტიის XVIII ყრილობისათვის

# პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესებისათვის



საქართველოს კომპარტიის XVIII ყრილობის დელეგატთა ჯგუფი (მარცხნიდან) მეთამბაქოე მ. ლორთქიფანიძე (ქედის რაიონი), ჩაის მკრეფავი ნ. შეროზია (აბაშის რაიონი), მწველავი გ. ვარშანიძე (ბათუმის რაიონი), მეცხოველეობის ფერმის ბრიგადირი გ. სურმავა, ჩაის მკრეფავები დ. ტაკიძე და ზ. ბაჟელიძე (მახარაძის რაიონი), ბრიგადირი თ. ყუფუნია (ზუგდიდის რაიონი), ბრიგადირი ჩ. ქვაჩახია (გალის რაიონი), მწველავი ხ. რუსიშვილი (კასპის რაიონი), ჩაის მკრეფავი ც. ქარდავა (ოჩამჩირის რაიონი), მევენახე ნ. ქევხიშვილი (თელავის რაიონი), გუმათჰესის მშენებლობის უფროსი ვ. ყაველაშვილი, ზესტაფონის საელმავლო დეპოს ოსტატი დ. ფცქიალაძე.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

## შედეგები და ამოცანები

**გ. სანაკოევი,**
**საქართველოს კპ სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი**

პარტიის XX ყრილობის შემდეგ ისტორიული მნიშვნელობის მოვლენები მოხდა საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში. მშრომელთა ფართო მასებმა თავიანთ საბრძოლო პროგრამად აქციეს ყრილობის მიერ დასახული გრანდიოზული ამოცანები. ამიტომ ბუნებრივია, რომ პარტიული ორგანოების ანგარიშგება-არჩევნებმა პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლის ნიშნით ჩაიარა.

სამხრეთ ოსეთის პირველადი პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე კომუნისტებმა მოურიდებლად გამოავლინეს საწარმოების, კოლმეურნეობებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების, დაწესებულებებისა და სასწავლებლების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები და ბევრი საქმიანი წინადადება წამოაყენეს ამ ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

პირველადი პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე, აგრეთვე საოლქო, საქალაქო და რაიონულ პარტიულ კონფერენციებზე კომუნისტებმა უწინარეს ყოვლისა ყურადღება გაამახვილეს მრეწველობის საკითხებზე. 1957 წელს ოლქის სამრეწველო საწარმოებმა საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური დავალება 112,4 პროცენტით შეასრულეს. მნიშვნელოვნად შემცირდა იმ საწარმოთა რიცხვი, რომლებიც სახელმწიფო დავალებას ვერ ასრულებენ. ორი წლის განმავლობაში ოლქის მრეწველობამ ქვეყანას მისცა 7 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

სტალინირში და რაიონულ ცენტრებში აიგო და მწყობრში ჩადგა ახალი სამრეწველო საწარმოები. განსაკუთრებით ფართოდ გაიშალა საბინაო მშენებლობა. მიუხედავად ამისა, საქალაქო და საოლქო კონფერენციებზე დელეგატებმა ბევრი კრიტიკული შენიშვნა გააკეთეს მშენებლობებზე შრომის ორგანიზაციის, ახალი სამშენებლო ტექნიკის დანერგვის საკითხებზე. ისინი სამართლიანად აღნიშნავდნენ, რომ საჭირო ყურადღება არ ექცევა სკოლების, კინოთეატრების, კულტურის სახლების მშენებლობას.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური დახმარების შედეგად, მშრომელთა ფართო მასების აქტივობის ზრდის საფუძველზე უკანასკნელ წლებში მიღწეულია საკოლმეურნეო წარმოების მნიშვნელოვანი აღმავლობა. შარშან წინა წელთან შედარებით 19 პროცენტით გაიზარდა ოლქის კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავალი. ვადამდე შესრულდა სახელმწიფოსათვის ხორცის, რძის, მატყლის, ყურძნისა და ხილის, კარტოფილის ჩაბარებისა და მიყიდვის გეგმები.

პარტიის მოწოდებას — უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ — მხურვალედ გამოეხმაურნენ სამხრეთ ოსეთის მშრომელები. პარტიულმა ორგანიზაციებმა აქტიური ბრძოლა გააჩაღეს მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისა და ძისი პროდუქტიულობის ამაღლებისათვის. მესამე წელია სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი გადაჭარბებით ასრულებს წველადობის დავალებას. თუ 1955 წელს 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე მიღებულ იქნა 60 ცენტნერი რძე, 1957 წელს ამ ციფრმა 108-ს მიაღწია.

მაგრამ სწორი არ იქნება ვიფიქროთ, რომ მეცხოველეობაში ყველაფერი რიგზე გვაქვს. საოლქო კონფერენციაზე დელეგატები სამართლიანად აღნიშნავდნენ, რომ მეცხოველეობაში მოპოვებული წარმატებები ძირითადად მიღწეულია ცალკეული ძლიერი კოლმეურნეობების მეოხებით. საკმარისია ითქვას, რომ ოლქის 188 კოლმეურნეობიდან შარშან წველადობის დავალება ვერ შეასრულა 86-მა. პარტიულ ორგანიზაციებს ჯერ კიდევ ბევრის გაკეთება მოუხდებათ პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებისათვის.

ჩვენს წინაშე დიდი ამოცანებია დასახული მებაღეობისა და მევენახეობის დარგში. სამხრეთ ოსეთის ბარის ზონის კოლმეურნეობებში შესანიშნავ მოსავალს იძლევა ვაზის შამპანური ჯიშები. ამიტომ ამ ჯიშის ვაზის გაშენებას უფრო მეტი ყურადღება ექცევა. გასულ წელს ახალი ვენახი გაშენდა 200 ჰექტარზე. მაგრამ ვენახების გაშენების ტემპი მაინც არ არის დამაკმაყოფილებელი. არის საშუალება, რომ უფრო სწრაფად განვითარდეს მევენახეობა, და ეს კიდევაც უნდა გაკეთდეს. ასევე დიდი პერსპექტივებია მებაღეობაშიც.

ამ დღეებში დიდი აღმავლობით მიმდინარეობს მზადება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის. კოლმეურნეები ფართოდ ეცნობიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვას სოფლის მეურნეობის მშრომელებისადმი. მიმართვის განხილვა მიმდინარეობს საგაზაფხულო სამუშაოებისათვის მებრძოლურად მზადების ვითარებაში, კოლმეურნეები მიმართვის პასუხად ახალ კონკრეტულ ვალდებულებებს იღებენ.

ანგარიშგება-არჩევნებმა პარტიული მასების აქტივობის ზრდასთან ერთად ხელი შეუწყო სოფლად პროპაგანდისტული და საგიტაციო მუშაობის გაუმჯობესებას. ახლა პარტიულ ორგანიზაციებში მიმდინარეობს პარტიული კონფერენციების შედეგების განხილვა. საჭიროა მთელი ძალღონითა და ენერგიით გავაჩაღოთ მუშაობა პარტიული კონფერენციების გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

სამხრეთ ოსეთის პარტიული ორგანიზაცია, რომელიც რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის განუყოფელი ნაწილია, იდეურად და ორგანიზაციულად კიდევ უფრო განმტკიცებული ხვდება საქართველოს კომპარტიის XVIII ყრილობას. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კომუნისტები, ყველა მშრომელი, რომლებიც მჭიდროდ არიან დარაზმულნი ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო, ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ ღირსეული წვლილი შეიტანონ სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში.

## ახლის ძიებაში

ოცი წლის წინათ მოვიდა ნინო ცოტაძე თბილისის № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკაში და ენერგიული, პატიოსანი შრომით კოლექტივის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

ნინო მონდომებით დაეუფლა მოწინავე, რთულ ტექნიკას და მრავალი რაციონალიზატორული წინადადების ავტორია. ნ. ცოტაძის ინიციატივით დაზგის 6-კბილიანი დანა შეცვლილ იქნა 12 კბილიანით, რითაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ფეხსაცმლის ხარისხი.

იგი აქტიურად მონაწილეობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისა და საქართველოს კომპარტიის XVIII ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში და ყოველდღიურ საწარმოო დავალებებს 200-250 პროცენტით ასრულებს.



ნ. ცოტაძე

• • •

წარმოების ნოვატორი კარგი მასწავლებელიც არის. მან ლანჩის შემომთლელის პროფესია შეასწავლა ა. ცოტაძესა და ი. დუდკინს.

კომუნისტი ნოვატორი ნ. ცოტაძე არჩეულია პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის წევრად და საქართველოს კომპარტიის XVIII ყრილობის დელეგატად.

**ა. გოცირიძე.**

## გავაძლიეროთ პარტიული კონტროლი კოოპერირებული დაკვეთებისადმი

მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნამ სოციალისტური ეკონომიკის შემდგომი აღმავლობის დიდი შესაძლებლობანი გამოავლინა. მუშაობის ახალ პირობებში საწარმოთა კოლექტივები, პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელები მოწოდებული არიან პირველ რიგში გადაჭრან ისეთი საკითხები, რომლებსაც საერთო-საკავშირო მნიშვნელობა აქვთ. მათ მოვალეობაა სანიმუშოდ შეასრულონ სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებული არა მარტო საკუთარი, არამედ უპირველეს ყოვლისა ჩვენი ქვეყნის სხვა ეკონომიური რაიონების საწარმოთა კოოპერირებული დაკვეთები. სამწუხაროდ, ეს ყოველთვის ასე როდია. მაგალითისათვის დავასახელებთ ამიერკავკასიის სტალინის სახელობის მეტალურგიულ ქარხანას.

ქარხანა დაკავშირებულია ჩვენი ქვეყნის ათობით ეკონომიურ რაიონთან. იგი პროდუქციის იღებს ჩვენი სამშობლოს 78 საწარმოდან და 25 მომარაგების კანტორიდან, თავის ნაწარმს კი აწვდის 100-მდე ეკონომიური რაიონის ქარხანას. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში მარტო ფოლადის მილებზე ქართველ მგლინავებს ჩვენი სამშობლოს 500-ზე მეტი საწარმოდან აქვთ მიღებული დაკვეთა.

მაგრამ როგორ სრულდება ეს დაკვეთები? თუ რუსთაველ მეტალურგთა მუშაობას ამის მიხედვით შევაფასებთ, სავალალო სურათს მივიღებთ. ქარხნის კოლექტივი მნიშვნელოვან სახელმწიფო დაკვეთებს თვიდან თვემდე არ ასრულებს გათვალისწინებული ასორტიმენტისა და ხარისხის მიხედვით, რითაც არღვევს დამკვეთ საწარმოთა რიტმულ მუშაობას.

ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა სამრეწველო ქალაქებიდან რუსთავში უამრავი დეპეშა მოდის მათი დაკვეთების დაჩქარების შესახებ. რამდენიმე ტომად შეკრული ასეთი დეპეშები თავმოყრილია ქარხნის პროდუქციის გასაღების განყოფილებაში. გამოირკვა, რომ შარშან რუსთაველ მეტალურგებმა სხვა ეკონომიური რაიონების საწარმოთა მნიშვნელოვანი დაკვეთების დაახლოებით მეხუთედი დიდი დაგვიანებით მიაწოდეს მომხმარებლებს, ხოლო სტალინგრადიდან, კუიბიშევიდან, ბარნაულიდან, პიატიგორსკიდან, ჩიტიდან და სხვა ქალაქებიდან მიღებული დაკვეთები ფოლადის მილებზე და ლითონის სხვა ნაწარმზე მთლიანად შეუსრულებელია.

მიმდინარე წლის იანვარში კოოპერირებული დაკვეთების შესრულების მხრივ კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობაა. მაგალითად, ამ თვეში დამკვეთ საწარმოებს გეგმით რამდენიმე ათასი ტონა მილნამადი უნდა მიეღოთ, ფაქტიურად 20 იანვრისათვის მხოლოდ 2.900 ტონა მილნამადია გაგზავნილი, აქედან ქ. ნიკოპოლში 500-ის ნაცვლად სულ რაღაც 60 ტონა გაიგზავნა.

დაკვეთების ვადაზე შეუსრულებლობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია მეტალურგიული ქარხნის საამქროთა არარიტმული მუშაობა, დადგენილი ნომენკლატურის მიხედვით ლითონის ნაწარმის გამოშვების გრაფიკების, ტექნოლოგიური დისციპლინის დარღვევის ხშირი შემთხვევები, ის, რომ კოოპერირებული დაკვეთების შესრულებაზე დაწესებული არ არის მტკიცე პარტიული კონტროლი.

საწარმოს მუშაობაში ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი ადგილ-უფროსობის მავნე განწყობილება. ცალკეული საამქროების, ცვლებისა და საწარმოო უბნების კოლექტივები ძირითადად საკუთარი საგეგმო დავალების შესრულებით არიან დაინტერესებულნი და თავიანთ საქმიანობას არ წარმართავენ მათთან კოოპერირებული საწარმოების შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა ეს საწარმოები სხვა ეკონომიურ რაიონებს მიეკუთვნებიან. სხვა რით უნდა აიხსნას ის, რომ საერთო პროდუქციის გამოშვების 1957 წლის გეგმის გადაჭარბებით შესრულების მიუხედავად, რუსთაველმა მეტალურგებმა სამშობლოს დააკლეს ათასობით ტონა თუჯი, ფოლადი, მილები და ფურცლოვანი ფოლადი. მეტალურგები უფრო მეტად ჩამორჩნენ მიმდინარე წლის იანვარში. ამ თვის პირველი ორი დეკადის გეგმა წვრილსორტულის გარდა არცერთ ძირითად საამქროს არა აქვს შესრულებული.

ეს ნაკლოვანებანი იმის შედეგიც არის, რომ მეტალურგიული ქარხნის პარტიული კომიტეტი (მდივანი ა. ცქვიტინიძე), საამქროთა პირველადი პარტიული ორგანიზაციები არადამაკმაყოფილებლად ახორციელებენ პარტიულ კონტროლს უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო ამოცანის —კოოპერირებული დაკვეთების ოპერატიულად შესრულებისადმი. ეს საკითხი ჯერ ერთხელაც არ ყოფილა ქარხნის პარტიული კომიტეტის მსჯელობის საგანი. საამქროთა პარტიული ორგანიზაციები, ლექტორები, პროპაგანდისტები და აგიტატორები მეტალურგებს ადგილობრივ მაგალითებზე არ განუმარტავენ, თუ რა დიდ ზარალს აყენებს სახელმწიფოს კოოპერირებული დაკვეთების დროზე შეუსრულებლობა. ამ მხრივ სუსტად არის გამოყენებული მრავალტირაჟიანი საქარხნო გაზეთი „მეტალურგი“, საამქროთა ძირეული პრესა და თვალსაჩინო აგიტაციის საშუალებანი.

ქარხნის პარტიული კომიტეტი და საამქროთა პირველადი პარტიული ორგანიზაციები თავიანთ მუშაობაში ყოველთვის არ ეყრდნობიან ფართო აქტივს, რის გამო მიღებულ დადგენილებათა მნიშვნელოვანი ნაწილი შეუსრულებელი რჩება. მაგალითად, გასული წლის სექტემბერში ქარხნის პარტიული კომიტეტის სხდომაზე განიხილეს საგლინავი საამქროს მუშაობის საკითხი. ამ საამქროს ჩამორჩენის ძირითად მიზეზად კომუნისტებმა მემარტენეთა ცუდი მუშაობა დაასახელეს. დადგენილების ერთ-ერთ პუნქტად ჩაწერეს, რომ მარტენის საამქროს ფოლადი მხოლოდ დაკვეთების, გასაგლინავი პროფილების შესაბამისად გამოეშვა. მაგრამ ეს დადგენილება არ შესრულდა. მარტო გასული წლის მეოთხე კვარტალში დაუკვეთავი მარკის ფოლადი 15 პროცენტზე მეტი გამოუშვეს, ხოლო იანვარში თითქმის ნახევარზე მეტ პროდუქციას დაკვეთის შეუსაბამო მარკისას უშვებენ. ეს იწვევს ქარხნის საგლინავ საამქროთა რიტმის დარღვევას, იერიშობანას მუშაობაში, დგანების ხშირ მოცდენასა და კოოპერირებული დაკვეთების შეუსრულებლობას.

— კოოპერირებული დაკვეთების შესრულება, — გვითხრა ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილემ გ. მგალობლიშვილმა, — პარტიული ორგანიზაციის ყოველდღიური მეთვალყურეობის ქვეშ არის და მათი შესრულების დაჩქარებისათვის ქმედით ზომებს ვიღებთ. მაგალითად, ქარხნის პარტიული კომიტეტის ჩარევის შემდეგ ვადაზე შევასრულეთ ლენინგრადის გემთმშენებელი ქარხნის დიდმნიშვნელოვანი დაკვეთა ფოლადის მილებზე.

შემოწმებით კი გამოირკვა, რომ ეს დაკვეთა დიდი დაგვიანებით შესრულდა. რუსთაველ მგლინავებს ლენინგრადელებმა მილები გასული წლის პირველ კვარტალში დაუკვეთეს, ფაქტიურად კი ეს დაკვეთა წლის ბოლოსათვის შესრულდა, ისიც მას შემდეგ, როცა მრავალრიცხოვანი დეპეშების გზავნით თავმობეზრებული დამკვეთი საწარმოს წარმომადგენლები რუსთავში ჩამოვიდნენ.

ჩვენი ქვეყნის სხვა ეკონომიური რაიონების დაკვეთების დაახლოებით 60-70 პროცენტი რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავ საამქროს ეგზავნება. საამქროს პარტბიურომ (მდივანი ვ. რევია) ამ დაკვეთების შესრულების საკითხი პარტიულ კრებაზე დღემდე არ განუხილავს. საამქროს გადამწყვეტ უბნებზე არ იგრძნობა პარტიული ჯგუფების, კომუნისტების დამრაზმავი როლი კოოპერირებული დაკვეთების ვადაზე და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის ბრძოლაში. ნაკლები ყურადღება ექცევა პარტიული ძალების სწორად განაწილებას, განსაკუთრებით საწარმოს იმ უბანზე, სადაც გაგლინული პროდუქციის ცივად დამუშავება ხდება. მთელ საამქროში არც ერთი ლოზუნგი არ არის, რომელიც მგლინავებს კოოპერირებული დაკვეთების პირველ რიგში და მაღალხარისხოვნად შესრულებისაკენ მოუწოდებდეს.

ბევრ დეპეშას იღებენ დაგვიანებული დაკვეთების დაჩქარებით შესრულებაზე პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტში. საქალაქო კომიტეტი ამ დეპეშებს ზომების მისაღებად ან მეტალურგიული ქარხნის პარტიულ კომიტეტს უგზავნის, ანდა თავის ინსტრუქტორს გადასცემს, ესე იგი მხოლოდ შემხსენებლის როლში გამოდის. სინამდვილეში კი პარტიის საქალაქო კომიტეტი ქარხნის პარტიულ ორგანიზაციასთან ერთად კოოპერირებული დაკვეთების დროზე შესრულებისათვის ბრძოლის ორგანიზატორი უნდა იყოს.

პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტი მოვალეა უფრო ღრმად ჩასწვდეს სახელმწიფო დავალებათა შეუსრულებლობის ნამდვილ მიზეზებს, გამონახოს კონკრეტული გზები საამქროთა შორის საწარმოო კონტაქტის განსამტკიცებლად, ყოველი ღონისძიებით აამაღლოს ქარხნის მთელი კოლექტივის პასუხისმგებლობა კოოპერირებული დაკვეთების დროულად და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის ბრძოლაში.

**გ. გელაშვილი,**
**„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.**

★

## ავამაღლოთ კომუნისტური მშენებლობის ამოცანების პროპაგანდის დონე

**ლ. უკლება,**
**საქართველოს კპ ბათუმის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი**

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ბათუმის კომუნისტებმა, უპარტიო მშრომელებმა გულმოდგინედ შეისწავლეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესიის მასალები, კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა მოსკოვის თათბირებზე მიღებული ისტორიული დოკუმენტები — დეკლარაცია და მშვიდობის მანიფესტი და ამჟამად დიდი ინტერესით ეცნობიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მე-9 სესიის გადაწყვეტილებებს.

ითვალისწინებს რა კომუნისტური მშენებლობის ამოცანების პროპაგანდის ყოველმხრივ და ყველა საშუალებით გაძლიერების აუცილებლობას, პარტიის საქალაქო კომიტეტმა უკანასკნელ ხანებში მრავალი ღონისძიება განახორციელა. მოეწყო აგიტატორთა და წამკითხველ-მესაუბრეთა საქალაქო თათბირი, სადაც მათ განემარტათ ახალი ამოცანები საგიტაციო მუშაობის დარგში, მიეცათ საჭირო მითითებები იმის თაობაზე, თუ როგორ მოეწყოთ საწარმოებსა და დაწესებულებებში აგიტსაუბრები, როგორ გაეცნოთ მშრომელთა ფართო მასებისათვის ეს დიდმნიშვნელოვანი მასალები. თათბირის შემდეგ აგიტატორებმა ენერგიულად გაშალეს მუშაობა, აღაფრთოვანეს მშრომელთა ფართო მასები ახალი წარმატებებისათვის. ქალაქის მრეწველობამ წლიური დავალება 15 დეკემბრისათვის გაანაღდა და რამდენიმე ათეული მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია გამოუშვა.

სამეურნეო საქმიანობაში მიღწეულ წარმატებათა განმტკიცების მიზნით საქალაქო კომიტეტი დიდ ყურადღებას აქცევს მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესებას. ამჟამად ქალაქის პარტიულ ორგანიზაციებში 3.500 აგიტატორია გამოყოფილი. ისინი ღრმად განუმარტავენ მშრომელებს კომუნიზმის მშენებლობის გრანდიოზულ პერსპექტივებს ყოველდღიურად აძლიერებენ ახსნა-განმარტებითს მუშაობას მოსახლეობაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების სანიმუშოდ მოსამზადებლად.

საქალაქო კომიტეტის ლექტორები ნ. გელბაკი, პ. ციცხვაია, ფ. კულიკოვი და სხვები მშრომელთა წინაშე გამოდიან ლექციებით ისეთ საკითხებზე, როგორიც არის: მსოფლიოში სოციალიზმის ძალების ზრდა, საბჭოთა კავშირში კომუნისტური მშენებლობის პერსპექტივები, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთიანობა, სსრ კავშირის 1958 წლის ბიუჯეტი და სხვ. ლექტორები პარტიულ განათლების სახლში ამავე თემებზე აწყობენ ჯგუფურ კონსულტაციებს.

მაღალ იდეურ-თეორიულ და ორგანიზაციულ დონეზე ეწყობა მეცადინეობა სამკერვალო და ფეხსაცმლის ფაბრიკების, საზღვაო ნავსადგურის, სტალინის სახელობის ნავთობგადამამუშავებელი და ტყავის ქარხნების, ხორცკომბინატის და სხვა პარტიულ ორგანიზაციებში.

საიუბილეო სესიის მასალებზე საინტერესოდ მოაწყო მეცადინეობა სამკერვალო ფაბრიკის პარტიულ ორგანიზაციასთან არსებული სკკპ ისტორიის შესწავლის წრის პროპაგანდისტმა ს. მალაზონიამ. ისაუბრა რა მსმენელებს თემაზე „ჩვენი ქვეყნის განვითარების მთავარი შედეგები 40 წლის მანძილზე“, პროპაგანდისტმა საერთო მიღწევებთან ერთად ხაზი გაუსვა სამკერვალო ფაბრიკის მუშაობის შედეგებს, კონკრეტულად აჩვენა, თუ როგორ იზრდება და ვითარდება საწარმო წლიდან წლამდე, როგორ უმჯობესდება მკერავთა საყოფაცხოვრებო პირობები. მეცადინეობა განსაკუთრებით მიმზიდველი იყო იმით, რომ პროპაგანდისტს ბევრი ფაქტი მოჰყავდა თავისი საწარმოს კოლექტივის მუშაობიდან.

პარტიული განათლების ქსელში ჩაბმული კომუნისტების ნახევარზე მეტი წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობის მეთოდით იმაღლებს იდეურ-თეორიული მომზადების დონეს. ამჟამად საქალაქო კომიტეტი მათდამი ხელმძღვანელობასა და კონტროლს უფრო მეტ ყურადღებას აქცევს, ვიდრე ოდესმე. ქალაქკომის ბიურომ სპეციალურად იმსჯელა დამოუკიდებლად მომუშავე კომუნისტთა შესახებ და მიიღო დადგენილება ამ საქმის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

ყოველივე ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ქალაქის ყველა პარტიულ ორგანიზაციაში ჯეროვან სიმაღლეზე იდგეს საგიტაციო პროპაგანდისტული მუშაობა. №5 სამშენებლო ტრესტის პარტიულ ორგანიზაციასთან სასწავლო წლის დასაწყისში 3 წრე მუშაობდა, მაგრამ პირველი მეცადინეობის შემდეგ მათ არსებობა შეწყვიტეს.

მშრომელთა დიდი ინტერესი და მისწრაფება კომუნისტური მშენებლობის პროგრამის შესწავლისადმი გამოწვეულია თვით მასალის ცხოველმყოფელობით. აუცილებელია ყოველი ღონისძიებით გავაუმჯობესოთ კომუნისტური მშენებლობის დიადი ამოცანების პროპაგანდა მასებში.

## რაიკომის ინსტრუქტორი

**ვ. კავაძე,**
**საქართველოს კპ ასპინძის რაიკომის პირველი მდივანი**

რაიკომის აპარატში განყოფილებების არსებობის დროს, განსაკუთრებით ინსტრუქტორთა მუშაობაში ადგილი ჰქონდა არასაჭირო ფუნქციონალობას. ხშირად ინსტრუქტორები პარტიული ორგანიზაციების მუშაობას ცალმხრივად სწავლობდნენ. თვითეული მათგანი რაიონის ყველა პარტიულ ორგანიზაციას ან ორგანიზაციათა დიდ უმრავლესობას ემსახურებოდა.

რაიკომის აპარატის სტრუქტურის გარდაქმნის შემდეგ მდგომარეობა ძირფესვიანად შეიცვალა. ინსტრუქტორებზე მიმაგრებულია 7-8 პარტიული ორგანიზაცია. თავიანთი მომსახურების პარტიულ ორგანიზაციებში ისინი სრული პასუხისმგებელი არიან როგორც პარტიულ-პოლიტიკური, ისე სამეურნეო საქმიანობისათვის. მუშაობის ახალ პირობებში რაიკომის ინსტრუქტორებს ცალკეული საკითხების დამოუკიდებლად გადაწყვეტის საშუალება მიეცათ. ახლა ისინი უფრო ხშირად არიან პარტიულ ორგანიზაციებში და პრაქტიკულად ეხმარებიან პარტორგანიზაციების მდივნებს მომწიფებული საკითხების ოპერატიულად გადაწყვეტაში.

ხელმძღვანელობის ახალი მეთოდი კარგ შედეგს იძლევა. ინსტრუქტორების მუშაობა უფრო მოქნილი და ოპერატიული გახდა. საგრძნობლად ამაღლდა ინსტრუქტორთა ავტორიტეტი. ბევრი მათგანის უნარიანი მუშაობით წინათ ჩამორჩენილი კოლმეურნეობები მოწინავეთა რიგებში ჩადგნენ. მაგალითად, რაიკომის ინსტრუქტორი დ. ფოცხვერაშვილი სისტემატურად იყოფება ხიზაბავრის კოლმეურნეობის პარტიულ ორგანიზაციაში, ეხმარება კომუნისტებს ნაკლოვანებათა გამოაშკარავებასა და გამოსწორებაში. ამის შედეგიც არის, რომ შარშან წინა წელთან შედარებით საგრძნობლად განმტკიცდა კოლმეურნეობის ეკონომიკა. თუ 1956 წელს ხიზაბავრელებმა საშუალოდ ჰექტარზე 7,3 ცენტნერი მარცვალი მოიყვანეს, გასულ წელს მიღებულია 11 ცენტნერი.

წინათ მანქანა-ტრაქტორთა სადგურის პარტიული ორგანიზაციის მდივანი შეზღუდული იყო, ზონის რაიკომის მდივანთან და ინსტრუქტორებთან შეუთანხმებლად მას სულ უმნიშვნელო საკითხის გადაწყვეტაც კი არ შეეძლო. ახლა მას საშუალება მიეცა მანქანა-ტრაქტორთა სადგურის მექანიზატორთა წინაშე წამოყენებული საკითხები თვითონვე გადაწყვიტოს და სათანადო ღონისძიებათა განხორციელებით უზრუნველყოს საქმის წარმატება.

პარტიული ხელმძღვანელობის ადამიანებთან, წარმოებასთან მიახლოებამ ხელი შეუწყო რაიონის სამეურნეო მაჩვენებლების ზრდას. 1957 წელს წინა წელთან შედარებით 23 პროცენტით შემცირდა იმ შრომისუნარიან კოლმეურნეთა რიცხვი, რომლებსაც შრომადღეების დაწესებული მინიმუმი არა აქვთ გამომუშავებული. ამავე პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა მარცვლეულის წარმოება და მეცხოველეობის პროდუქტიულობა.

მკვეთრად მაღლდება რაიონის მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურის დონე. თუ 1956 წელს რაიონის კოლმეურნეობებში საშუალოდ თვითეული შრომადღის ღირებულება 7 მანეთს და 60 კაპიკს არ აღემატებოდა, 1957 წელს მისი ღირებულება 11 მანეთამდე გაიზარდა. 1956 წელს 37-მა კოლმეურნემ აიშენა ახალი საცხოვრებელი სახლი, გასულ წელს კი — 50 კოლმეურნემ. 22 სოფლიდან ელექტროფიცირებულია 20. დარჩენილი სოფლების ელექტროფიცირება მიმდინარე წელს დამთავრდება. წარმატებით მიმდინარეობს აგრეთვე სოფლების რადიოფიცირება.

ეს წარმატებანი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა პრაქტიკულად განხორციელების შედეგია. ასპინძის რაიონის მშრომელთა დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა გამოიწვია პარტიისა და მთავრობის მიმართვამ სოფლის მეურნეობის მუშაკებისადმი. ჩვენი პატრიოტული მოვალეობაა საკოლმეურნეო მინდვრებსა და ფერმებში თავდადებული შრომით ახალ წარმატებებს მივაღწიოთ სოფლის მეურნეობის განუხრელი აღმავლობისათვის ბრძოლაში.



„მთავართბილმშენის“ ტრესტის მოწინავე კალატოზი კომუნისტი ბენიამინ მოსიხრაფიშვილი მშენებლობაზე.

ხალხთა ლენინური მეგობრობის დროშით

# „უკრაინა" საქართველოში—„საქართველო" უკრაინაში

## ორი მოძმე რესპუბლიკის კოლმეურნეობათა შეჯიბრება



### მარად ერთად

ტრადიციული მეგობრობა აკავშირებთ უკრაინის სსრ ხერსონის ოლქის გენიჩესკის რაიონისა და საქართველოს სსრ მახარაძის რაიონის მშრომელებს. ამ დიადი მეგობრობის აღსანიშნავად გადავწყვიტეთ ჩვენი სასოფლო-სამეურნეო არტელისათვის „საქართველო" გვეწოდებინა.

ჩვენს კოლმეურნეებს დიდად ახარებთ ეს სახელი. ისინი, პარტიისა და მთავრობის ბრძნული მითითებებით აღფრთოვანებულნი, თავდადებით შრომობენ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი გადიდებისათვის.

ჩვენი კოლმეურნეობა „საქართველო", რომელიც მახარაძის რაიონის სოფელ განახლების კოლმეურნეობა „უკრაინას" ეჯიბრება, ერთ-ერთი მოწინავეა გენიჩესკის რაიონში. ქართველ კოლმეურნეებთან სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად განსაკუთრებულ წარმატებებს მივაღწიეთ მეცხოველეობაში. გასულ წელს თვითეულ ძროხაზე 4.000-ზე მეტი კილოგრამი რძე მივიღეთ.

კოლმეურნეობამ პირნათლად შეასრულა სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების, მებოსტნეობისა და სხვა გეგმები. კოლმეურნეობის ფულადმა შემოსავალმა 4 მილიონი მანეთი შეადგინა.

წინ მიდის კოლმეურნეობა, წინ მიდის ჩვენი სოფელი ნოვონიკოლაევკაც. ჩვენთან აღარ არის ისლით დახურული დაბალი ქოხები. ისინი შეცვალა კრამიტით დახურულმა, უკრაინული ორნამენტებით დამშვენებულმა ფართოფანჯრებიანმა სახლებმა. მნიშვნელოვნად გაფართოვდა კულტურულ-საყოფაცხოვრებო ნაგებობათა მშენებლობა. აშენდა საზაფხულო კინოთეატრი, კანტორა, კოლმეურნეთა ასზე მეტი ახალი სახლი. სოფელი ელექტროფიცირებული და რადიოფიცირებულია.

ჩვენი კოლმეურნეობის წევრებს გულწრფელად ახარებთ სოფელ განახლების კოლმეურნეობა „უკრაინის" წევრთა მიღწევები.

**გ. ლეგუნოვი,**
უკრაინის სსრ გენიჩესკის რაიონის სოფელ ნოვონიკოლაევკის კოლმეურნეობა „საქართველოს" თავმჯდომარე.

### შეჯიბრებას დიდი ძალა აქვს

სამ წელზე მეტია, რაც ვეჯიბრებით უკრაინის სსრ ხერსონის ოლქის გენიჩესკის რაიონის კოლმეურნეობას, რომელსაც ახლახან სახელად „საქართველო" უწოდეს. ამ შეჯიბრების შედეგად ყოველწლიურად ახალ და ახალ წარმატებებს ვაღწევთ.

უკრაინა ჩვენთვის ასევე საყვარელია, როგორც საქართველო. ჩვენი კოლმეურნეობის წევრებმა, როგორც დიდი დღესასწაული, ისე აღნიშნეს უკრაინაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავი. ჩვენ ვამაყობთ, რომ დიდი სამამულო ომის წლებში უკრაინის მიწა-წყლის განთავისუფლებისათვის ერთად იბრძოდნენ კოლმეურნეობა „საქართველოს" თავმჯდომარე გ. ლეგუნოვი და ჩვენი კოლმეურნეობის ყოფილი თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის გმირი ს. ჩხაიძე.

შეჯიბრებას, მეგობრობას დიდი შედეგი მოაქვს. 1954 წელს ჩვენს კოლმეურნეობაში მეცხოველეობა ჩამორჩენილ დარგად ითვლებოდა. უკრაინელმა მეგობრებმა დიდი დახმარება გაგვიწიეს პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებაში, საჩუქრად გადმოგვცეს ბუღა-მწარმოებლები და მაღალპროდუქტიული ძროხები. ფართოდ დავნერგეთ მოწინავე უკრაინელ მწველავთა გამოცდილება. გასულ წელს თვითეულ ძროხაზე 1.600 ლიტრი რძე მივიღეთ ნაცვლად 1954 წლის 300 ლიტრისა.

ჩვენი კოლმეურნეები თავდადებით იბრძვიან ჩაის მოსავლიანობის გადიდებისათვის. გასულ წელს მოვკრიფეთ და სახელმწიფოს ჩავაბარეთ 412 ათასი კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენს კოლმეურნეობას უკრაინის სახელი მიეკუთვნა, წელს ვიკისრეთ 560.000 კილოგრამი ჩაის ფოთლის მოკრეფა, სიმინდის ნათესის ყოველ ჰექტარზე 30 ცენტნერი მოსავლის და თვითეულ საფურაჟე ძროხაზე 2.000 ლიტრი რძის მიღება.

ამ ვალდებულებათა შესასრულებლად აღგვაფრთოვანებს დიდ უკრაინელ ხალხთან მარადიული მეგობრობა.

**ა. მამულაიშვილი,**
მახარაძის რაიონის სოფელ განახლების კოლმეურნეობა „უკრაინის" პარტიული ორგანიზაციის მდივანი.



უკრაინის სსრ გენიჩესკის რაიონის სოფელ ნოვონიკოლაევკის კოლმეურნეობა „საქართველოს" თავმჯდომარეს გრიგოლ ლეგუნოვს მახარაძის რაიონში ჰყავს ფრონტელი მეგობარი საბჭოთა კავშირის გმირი სერგო ჩხაიძე. ისინი ერთად იბრძოდნენ დიდი სამამულო ომის ფრონტზე, სევასტოპოლის მისადგომებთან. ომის დროს ჩასახული მათი მეგობრობა ომისშემდგომ წლებში უფრო განმტკიცდა. ს. ჩხაიძე ხელმძღვანელობდა სოფელ განახლების კოლმეურნეობა „უკრაინას", ამჟამად კი სოფელ ლაშეს მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეა. მეგობრები ერთმანეთს ხშირად ნახულობენ. ამ სურათზე აღბეჭდილია გრიგოლ ლეგუნოვის (მარჯვნიდან მეორე) ყოფნა განახლების კოლმეურნეობის პლანტაციებში. მარჯვნივ — ს. ჩხაიძე.

## მეგობრობის შუქი

როცა მეგობრებს სურთ ერთმანეთს ძმობა შეჰფიცონ, ამისათვის უსათუოდ უწმინდეს ადგილს ამოარჩევენ. ასე იყო გასული წლის ოქტომბერში. გენიჩესკში, რაიონულ ცენტრში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა დიდი ლენინის ძეგლი. აქ გაიმართა მეგობრობის დიდი მიტინგი. ერთმანეთს ლენინის ძეგლთან ერთხელ კიდევ შეჰფიცეს ძმობა ქართველმა და უკრაინელმა კოლმეურნეებმა.

ქართველებმა და უკრაინელებმა თავიანთი მეგობრობა ძვირფასი სახელებითაც უკვდავყვეს — გენიჩესკელებმა ერთ-ერთ კოლმეურნეობას „საქართველო" უწოდეს, ხოლო მახარაძელებმა ერთ-ერთ სასოფლო-სამეურნეო არტელს — „უკრაინა" შეარქვეს. ასე დაიბადა გენიჩესკის რაიონის სოფელ ნოვონიკოლაევკის კოლმეურნეობა „საქართველო" და მახარაძის რაიონის სოფელ განახლების კოლმეურნეობა „უკრაინა".

გრიგოლ ლეგუნოვი, კოლმეურნეობა „საქართველოს" თავმჯდომარე, ჯერ კიდევ დიდი სამამულო ომის ფრონტზე გაეცნო საბჭოთა კავშირის გმირს სერგო ჩხაიძეს, რომელიც დიდხანს ხელმძღვანელობდა კოლმეურნეობა „უკრაინას". იქ, სევასტოპოლის მისადგომებთან, საპუნ-გორასთან ისინი იცავდნენ უკრაინას და საქართველოს, კიევსა და თბილისს. ლეგუნოვი ასეულის მეთაური იყო, მე-4 უკრაინის ფრონტზე იბრძოდა, სერგო ჩხაიძე კი ზღვისპირეთის არმიაში იმყოფებოდა. მათ ორივემ თავიანთი ქვეგანაყოფებით მონაწილეობა მიიღეს სევასტოპოლისათვის ბრძოლაში. მათი პირველი ნაცნობობა სანგრებში დაიწყო. მაშინ ისინი ვერც კი წარმოიდგენდნენ, თუ ომის შემდეგ ასე დამეგობრდებოდნენ, ხელმძღვანელობას გაუწევდნენ ერთი კოლმეურნეობა „საქართველოს" უკრაინაში და მეორე კოლმეურნეობა „უკრაინას" საქართველოში.

კოლმეურნეობა „საქართველო" ჩონგარის ნახევარკუნძულზე... ჩონგარი წინათ უკაცრიელ ველს წარმოადგენდა. მეფის დროს ამ ადგილს, სადაც ახლა ეს კოლმეურნეობაა, ციგანოვკას უწოდებდნენ. შემდეგ, მართალია, სახელი შეუცვალეს — ნიკოლაევკა დაარქვეს, მაგრამ ამით მაინც არაფერი შეცვლილა.

შემდეგ ახალმა ქარმა დაქროლა. დიდმა ოქტომბერმა ყველაფერი შეცვალა. საქართველოში ახლა განახლებული განახლებაა, ჩონგარზე კი — განახლებული ნოვონიკოლაევკა.

...როცა ჩვენ კოლმეურნეობაში მივდიოდით, ცივი ამინდი წამოგვეწია. სივაშიდან ხოშკაკალამ წამოაყარა. ჩონგარზე სწრაფად აცივდა. მაგრამ პარტიის გენიჩესკის რაიკომის პირველი მდივანი გიორგი პახომოვი ისე არხეინად მიაბიჯებდა ჩონგარის სუსხიან მიწაზე, როგორც მახარაძის რაიკომის მდივანი შოთა ჭანუყვაძე მზიან ამინდში განახლების ან მზიანის ჩაის პლანტაციებში მიაბიჯებს ხოლმე... პახომოვი ახალი გადმოყვანილია მეზობელი ბელოზერკის რაიონიდან, მაგრამ აქაურ მიწა-წყალს უკვე ხუთი თითივით იცნობს.

— ბელოზერკის რაიონი ხომ ბათუმის რაიონს ეჯიბრება. ახლაც მახარაძელ კოლმეურნეებთან შეჯიბრების გაგრძობა მიხდება, ისე რომ მაქვს ქართველებთან მეგობრობის ტრადიცია, — ღიმილით ამბობს იგი.

ცივ ამინდს ხელი არ შეუშლია დაგვენახა განახლებული სოფელი, ლამაზი, კრამიტით დახურული სახლები, კლუბი, საბავშვო ბაგა, კოლმეურნეობის კანტორა, საზაფხულო თეატრი.

კოლმეურნეობის კანტორის ეზოში ყურადღებას იპყრობს სამამულო ომში ჩონგარის განთავისუფლებისათვის დაღუპულ გმირთა ძეგლი. დგას მაღალ კვარცხლბეკზე ქანდაკება — ქუდმოხდილი და ვალმოხდილი მეომარი ავტომატით ხელში და პატივს სცემს დაღუპულთა ხსოვნას. სამარადისო დიდება გმირებს!

კოლმეურნეობის კანტორაში გრიგოლ ლეგუნოვი ისე შეგვხვდა, როგორც შორეული ქალაქიდან ჩამოსულ ღვიძლ ნათესავს. მან დაწვრილებით გაგვაცნო სოფელი, სადაც კოლმეურნეობა „საქართველოს" წევრები ცხოვრობენ.

— აქ პატარა საქართველოა, — გვითხრა მან.

როგორც ლეგუნოვმა გადმოგვცა, ომის დროს სოფელი ნანგრევებად იყო ქცეული. 1949 წელს კოლმეურნეებმა მიიღეს კეთილმოწყობის გენერალური გეგმა. სოფელში სულ მალე აშენდა 110 ახალი საცხოვრებელი სახლი, გაშენდა პარკი, გაყვანილ იქნა წყალსადენი, აინთო ილიჩის ნათურები. უკრაინულ „ხატებში" ალაპარაკდნენ რეპროდუქტორები, დაიწყო კულტურის სახლის მშენებლობა.

კოლმეურნეობა „საქართველოს" მეცხოველეობის განვითარების საქმეში რაიონში ერთ-ერთი მოწინავე ადგილი უჭირავს. მთელ რაიონში განთქმული არიან მოწინავე მწველავები ე. კორხუტი, ე. პოდგაინაია, ს. პოძინსკაია...

— რაკი ჩვენს კოლმეურნეობას „საქართველო" ჰქვია,— შენიშნავს ლეგუნოვი, — მევენახეობასაც განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ. სივაშის ნაპირებზე 20 ჰექტარი ვენახი გვაქვს გაშენებული. 1960 წლისათვის ვენახების ფართობი 220 ჰექტარს მიაღწევს. დაე ჩვენმა პატარა „საქართველომაც" ისახელოს თავი ღვინის წარმოებით, ისევე როგორც თქვენი, საქართველომა მთელ მსოფლიოში განთქმული!

• • •

მეორე დღეს დილაადრიან გზად ერთი სოფელი შემოგვეყარა, რომელსაც დობროე უტრო ჰქვია. ჩემი თანამგზავრი, აქაური კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვასილ რადჩენკო მიამბობს:

— ამ ადგილას ასიოდე წლის წინათ ერთი გლეხი მოსულა, აქ შეუხვენია, ქუდი მოუხდია და უთქვამს: დობროე უტრო... აქვე გადაუწყვეტია დასახლება. ასე წარმოიშვა ეს სოფელი. ყოველ სოფელს ხომ თავისი ისტორია აქვს...

დილა მშვიდობისა, უკრაინის მიწავ!

სევასტოპოლ-მოსკოვის ავტოხტრადასთან შევჩერდით. ჩემმა თანამგზავრმა ხელი იქვე მახლობელი სოფლისაკენ გაიშვირა და თქვა:

— აი აქედან კი სოფელი ნაგომარი იწყება!

ნაგომარი ხომ ძველისძველი ქართული სოფელია გურიაში. ნაგომარი უკრაინის მიწაზე! სოფლისაკენ გავწიეთ.

აქ სადღაც ახლოს, ალბათ, ჩასაკირალის ქედს გადაღმა, სუფსისა და ბახვისწყალს შუა მოქცეულია სოფელი, ნაგომარად წოდებული. მაგრამ არც სუფსა და არც ბახვისწყალი, არც მეზობელი სოფლები ჩანს — მშვიდობაური და მზიანი, ნაღობილევი და ასკანა... არც გურული ოდა-სახლები, არც გზად შემხვედრი ყაბალახიანი გლეხი. აქ უკრაინული სოფელია.

სიყვარულს, მეგობრობას აღმოუცენებია ეს სოფელი უკრაინულ მიწაზე. აქაურ კოლმეურნეებს გადაუწყვეტიათ ქართველ კოლმეურნეებთან მეგობრობის ნიშნად თავიანთ სოფელ იაროშოკს ნაგომარი უწოდონ. სოფლის შესასვლელთან სევასტოპოლ-მოსკოვის გზაზე წარწერილი იქნება — „ნაგომარი". წარწერის ორივე მხარეს მოთავსდება უკრაინისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშები და გერბები...

დავათვალიერეთ ელექტროსადგური, რომელიც მახარაძის რაიონის სოფელ ნაგომრის კოლმეურნეობის წევრებმა საჩუქრად გაუგზავნეს აქაურ მცხოვრებთ.

უკრაინულ ნაგომარში დიდი სიხარულია. კოლმეურნეთა ოჯახებში შეიჭრა ქართველების მიერ გამოგზავნილი ელექტროსადგურის შუქი, რომელსაც იაროშოკელებმა მეგობრობის შუქი უწოდეს.

ანთია უკრაინულ სოფელში შუქი დიდი ძმობისა, სიყვარულისა და მეგობრობისა! ორი ნაგომარი — ქართული და უკრაინული — ორი მოძმე ხალხის მეგობრობის უკვდავი სიმბოლოა. ქართველი ნაგომრელი უკრაინელ ნაგომრელს კიდევ ერთხელ გასძახებს:

— მოდით ვიმეგობროთ, ვთესოთ სიყვარულის თესლი მეგობრობის ხნულში!

და ვინ იცის, იქნებ აქ მოსულმა ვინმე ქართველმა პოეტმა ამოიმღეროს:

გამოვიარე თუმცა შორი გზა, —
მოძმეთა გულის ღელვა მიტაცებს,
ორი სოფელი დგას, ვით ორი ძმა,
უკრაინულ და ქართულ მიწაზე!

**სტეფანე არლუნელი.**
გენიჩესკი-მახარაძე.



გენიჩესკის რაიონის სოფელ ნოვონიკოლაევკის ახალი ქუჩა.
ფოტო ბ. ნეჩაევისა.

### ძმური სიყვარული

არასოდეს არ დამავიწყდება გენიჩესკელ მეგობრებთან შეხვედრის დღეები უკრაინაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავზე. წილად მხვდა დიდი პატივი — იმ დელეგაციის ხელმძღვანელობა, რომელმაც გენიჩესკელ კოლმეურნეებს მახარაძელ კოლმეურნეთა საჩუქრები გადასცა.

მახარაძის რაიონის კოლმეურნეობებმა საჩუქრებით 15 ვაგონი დატვირთეს. აქ იყო 50 ტონა ციტრუსები, 27 ტონა სათესლე სიმინდი, 13 ტონა თხილი, 12 ტონა



ღვინო, 15 ტონა სხვადასხვა ხილი. ჩვენმა კოლმეურნეობამ გენიჩესკის რაიონის სოფელ ნოვოალექსეევკის კოლმეურნეობა „უკრაინას", რომელსაც ვეჯიბრებით, სხვა საჩუქრებს შორის გადასცა 22-ცხენისძალიანი ელექტროსადგური.

მეგობრებმა გულთბილი შეხვედრა მოგვიწყეს. გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი. შეუძლებელია იმ სიხარულის აღწერა, რაც გამოიწვია უკრაინელ კოლმეურნეთა შეხვედრამ ქართველ კოლმეურნეებთან. ნაჩუქარი ელექტროსადგური დაამონტაჟეს დასახლებულ პუნქტ იაროშოკში, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო ელექტროფიცირებული.

უკრაინელი მეგობრები გამსჭვალული არიან ქართველი კოლმეურნეებისადმი ძმური სიყვარულის გრძნობით. მათ საჩუქრად გამოგვიგზავნეს 21 სული მაღალპროდუქტიული ჯიშიანი ძროხა. ამჟამად ჩვენს კოლმეურნეობას მეცხოველეობის განვითარების დარგში რაიონში მეორე ადგილი უკავია. ეს გენიჩესკელებთან ჩვენი ტრადიციული მეგობრობის შედეგიც არის. გასულ წელს 100 ჰექტარი მიწის თვითეულ სავარგულზე მივიღეთ 265 ცენტნერი რძე, 35 ცენტნერი ხორცი. კოლმეურნეობის ფულადი შემოსავალი 6,5 მილიონ მანეთს აღწევს.

სოციალისტური შეჯიბრების დროშით ჩვენი კოლმეურნეობის წევრები სულ უფრო თვალსაჩინო წარმატებებს აღწევენ.

**შ. სარიშვილი,**
მახარაძის რაიონის სოფელ ნაგომრის კოლმეურნეობა „საქართველოს" თავმჯდომარე.



### უხვი მოსავლისათვის

ჩვენი ბრიგადის წევრებს თავიანთი წვლილი შეაქვთ სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში. ისინი ყოველწლიურად ხორბლის უხვ მოსავალს იღებენ. გასულ წელს ბრიგადამ 600 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღო 22,5 ცენტნერი ხორბალი, რაც მნიშვნელოვნად აღემატება საგეგმო დავალებას.

ამ წარმატებას მივაღწიეთ აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსის ზუსტად განხორციელებით, მოსავლის დროზე და უდანაკარგოდ აღებით. ბრიგადამ ვალდებულება იკისრა წელს მთელი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღოს 24 ცენტნერი ხორბალი. ამ ვალდებულების შესასრულებლად ბრიგადაში ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება. წარმატებათა მოპოვებისათვის დიდ სტიმულს გვაძლევს მახარაძელ კოლმეურნეებთან მეგობრობა, რომელსაც მალე 20 წელი შეუსრულდება.

**ა. გეტმანი,**
სოფელ ნოვონიკოლაევკის კოლმეურნეობა „საქართველოს" პირველი ბრიგადის ხელმძღვანელი.

### გვინდა ჩვენს სოფელს ნაგომარი ერქვას

ძველად ჩვენს სოფელს „კაცისა და ღვთისაგან" დავიწყებულს უძახდნენ. მართლაც, ყველასაგან დავიწყებული იყო იგი. აქაური გლეხები ატალახებულ მიწურებში ცხოვრობდნენ, მათთვის სინათლე კი არა, საჭმელიც სანატრელი იყო.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში მთლიანად იცვალა სახე იაროშოკმა. ახლა აქ ცხოვრობენ სასოფლო-სამეურნეო არტელ „უკრაინის" მესამე კომპლექსური ბრიგადის წევრები. გაჩნდა ახალი, ლამაზი საცხოვრებელი სახლები. სოფელში აშენდა კლუბი, საბავშვო ბაგა, მაღაზიები, დაწყებითი სკოლა, მეცხოველეობის ფერმა, გაშენდა ბაღები და ვენახები. კოლექტიურმა შრომამ ახალი სოფელი დაბადა.

მჩქეფარე საბჭოთა ცხოვრებით ცხოვრობენ ჩვენი მესამე ბრიგადის წევრები. ბრიგადა ამაყობს ისეთი მოწინავე ადამიანებით, როგორიც არის მწველავი ანტონინა სვიჩკარენკო, რომელმაც გასულ წელს თვითეულ ძროხაზე 3.470 კილოგრამი რძე მიიღო. იგი ეჯიბრება მახარაძის რაიონის სოფელ ნაგომრის კოლმეურნეობა „საქართველოს" მწველავს შ. წიტაიშვილს. კარგი მაჩვენებლები აქვთ აგრეთვე მწველავებს ვ. სოსნოვსკაიას, ტ. ოსტაშევსკაიას და სხვ.

გასული წლის ოქტომბერში გენიჩესკელი კოლმეურნეები სტუმრად იყვნენ მახარაძის რაიონში. ჩვენი კოლმეურნეობიდან სოფელ ნაგომრის კოლმეურნეობა „საქართველოს" ეწვია მწველავი ა. სვიჩკარენკო. ჩვენმა კოლმეურნეებმა საჩუქრები წაიღეს ქართველ კოლმეურნეებს. საქართველოში უკრაინელები ისე მიიღეს, როგორც ნამდვილი ძმები და დები, აჩვენეს თავიანთი კოლმეურნეობის ჩაისა და ციტრუსების პლანტაციები, მეცხოველეობის ფერმები. ქართველმა კოლმეურნეებმა შეიტყეს, რომ ჩვენს სოფელს ელექტროშუქი ჯერ არ ჰქონდა, და საჩუქრად ელექტროსადგური გამოგვიგზავნეს.

ჩვენმა კოლმეურნეებმა ქართველების საჩუქარს მეგობრობის ელექტროსადგური უწოდეს. ეს სადგური დაამონტაჟა მახარაძელმა კოლმეურნემ ვანო სტეფანიამ, რომელსაც ჩვენი კოლმეურნეები ყოველთვის სიყვარულით იგონებენ. ჩვენმა ბრიგადამ მას საჩუქრები გადასცა, რომელთა შორის იყო ცხენი.

ბრიგადის კოლმეურნეებმა ქართველ კოლმეურნეებთან მეგობრობის ნიშნად გადაწყვიტეს დასახლებულ პუნქტს იაროშოკს ნაგომარი უწოდონ. დაე ამ მეგობრობის სიმბოლოდ უკრაინულ მიწაზე ჰყვაოდეს და იფურჩქნებოდეს სოფელი, რომელსაც ქართული სახელი ერქმევა!

**ნ. რევუცკი,**
გენიჩესკის რაიონის კოლმეურნეობა „უკრაინის" მე-8 ბრიგადის ხელმძღვანელი.

### ჩემი ბედნიერება

დასახლებულ პუნქტ იაროშოკს, რომელსაც აქაურმა კოლმეურნეებმა სახელი შეუცვალეს და ქართველ კოლმეურნეებთან სოციალისტური შეჯიბრების პატივსაცემად ნაგომარი უწოდეს, კარგად ვიცნობ. აქ ხომ იმ ელექტროსადგურის დასამონტაჟებლად დამტოვეს, რომელიც ჩვენმა კოლმეურნეობამ საჩუქრად გადასცა უკრაინელებს.

დასახლებული პუნქტის ილიჩის ნათურებით გაჩირაღდნებას ყველა სიხარულით ელოდა, როგორც დიდ დღესასწაულს. აი დამთავრდა უკანასკნელი სამონტაჟო სამუშაოები, და ახალი წლისათვის სოფელმა ელექტროდენი მიიღო...

ენით აუწერელია ის აღფრთოვანება, რაც გამოიწვია კოლმეურნეებმა ხელში ამიტაცეს და რამდენჯერმე მაღლა აისროლეს. ყველა, დიდი და პატარა, სიხარულით გაბრწყინებული თვალებით შემომყურებდა. მათ თვალში თითქოს „გმირად" ვიქეცი.

უკრაინულ სოფელში ყოფნისას მე თვითონ დავაკომპლექტე ელექტრიკოსთა ბრიგადა, რომელსაც შევასწავლე ბოძების დადგმა და ელექტრომოწყობილობის გაყვანა. კოლმეურნეები კმაყოფილი დარჩნენ, რომ არა მარტო მონაწილეობა მიიღეს თავიანთი სოფლის ელექტროფიცირებაში, არამედ ახალი პროფესიებიც შეიძინეს.

იაროშოკი ჩემთვის მშობლიურ სოფლად იქცა. იქიდან ხშირად ვიღებ მადლობის წერილებს და



ურნეთა ოჯახებში ელექტროშუქის შეჭრამ. ელექტროსადგურის გახსნის დღეს დიდი მიტინგი გაიმართა. თითქმის მთელი სოფელი შეიკრიბა კლუბში, რომელიც ვერ იტევდა მიტინგზე დასწრების მსურველთ.

ღამდებოდა. მიტინგი გახსნილად გამოაცხადეს. მე ელექტროსადგურის ჩასართავად წავედი. შემდეგ კლუბისაკენ გავწიე. სოფელი გაჩირაღდნებული იყო. კლუბში რომ შევედი, კოლმეპატივისცემას. ბედნიერად ვგრძნობ თავს, რომ პატარა წვლილი შევიტანე უკრაინელ და ქართველ კოლმეურნეთა მეგობრობის განმტკიცების საქმეში.

**ვ. სტეფანია,**
მახარაძის რაიონის სოფელ ნაგომრის კოლმეურნეობა „საქართველოს" მეცხოველეობის ფერმის მექანიზატორი.

• • •

სურათზე: ვ. სტეფანია ელექტროსადგურის დამონტაჟებისას.



მახარაძის რაიონის სოფელ ნაგომრის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმა.
ფოტო გ. გოგოხიასი.

რედაქტორი პ. რატიანი.

უე 00231 საქართველოს კპ ც კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14. 1